# ცისკარი.

**1870**

მარტი

წელიწადი მეთოთხმეტე.

---

წოდება თხზულებათა:


I. სამცხე—საათაბაგო. (მოგზაურობითგან) ი. კერესელიძისა.

II. ამაოება. (ლექსი). მისივე. . . . . . . . . . .

III. ეგმონტი (ტრაგედია გეტესი.) ხუდადოვისა.

IV. განცხადება რედაქციისაგან.


---


ტფილისს,

მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.

3 ფრ 1

---

# ც ნ ო ბ ა

## ს ა მ ც ხ ე—ს ა ა თ ა ბ ა გ ო ზ ე . (*)

47

ჩემო მკითხველო, ახლა, ამ ჟამად მე ვიმყოფები ზემო ქართლში, ჩუჱნ ძველს ათაბაგების დედა-ქალაქს ახალციხეში, საიდამაც ამ ორიოდ დღეში უნდა გავიდე და ზღუარს გარეთ, აზიის ოსმალეთში, რომელსაცა ახლა უწოდებს ქუჱყანა და ჩუჱნთჳს, ჩუჱნის ისტორიისათჳს ისევე ის მესხეთი არის, ანუ საათაბაგო, რომელიცა ყოფილა რამდენსამე ასის წლის წინეთ.— მესხეთის გარემოებაზედ, აქაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, ჩუჱულებაზედ, თუ სხუაზედ, რასაკჳრველია მოვილაპარაკებ თავის დროზედ და მინამ იმათზედ მოვილაპარაკებდე, რადგანც შემთხვევაც მომეცა და აქა ვარ, ცოტაოდენს მოგელაპარაკები ამ პატარას ქალაქ-ახალციხეზე-

(*) მარმასრელს ორს ნომერში დაბეჭდილი იყო ნაწყვეტად ორი სტატია [illegible] შესავალისა, და რადგანც ახლანდელის ნომრითგან მრთელი მოგზაურობა იბეჭდება, ამისათჳს რედაქციამ საჭიროდ ნახა თავითგან დაწყობა.

დაც.—რა ვიცით, იქნება ჩუ̂ჱნს არა სრულს ისტორიას, ერთი მისხალიცარი სარგებლობა მოუტანოს და ჩუ̂ჱნს ძმებსაც, სისხლით და ხორცით მონათესავე—მესხელებს ანუ საათაბაგოში მცხოვრებელთ, რომელთა შორის როგორც აქ დავრწმუნდი წერა და კითხუ̂აც იციან ქართული, მოსცეს სარგებლობა, ასე სარგებლობა, რომ შეიტყონ თავიანთი მამა-პაპანი ვინა ყოფილან და ან თჳთან ვისნი შთამომავლობანი არიან და ვის ტომს ეკუთვნიან, თუმცა ბნელად გაგონილი აქუ̂სთ.—ქართული წერა-კითხუ̂ა ძრიელ უყუ̂ართ და იმედი მაქუ̂ს ჩუ̂ჱნი ჟურნალები იქაც მიასწევენ.—ამის გარდა, არც შეიძლება არა ვთქუ̂ათ რამ ახალციხეზე, რადგანც ეს ყოფილა პირუ̂ჱლი დედაქალაქი, მრთელს მესხეთში, ანუ საათაბაგოში.—

ახალციხე საკმაოდ ვრცელი ქალაქია, რაც შეეხება უეზდის ქალაქსა. ეს მდებარეობს ორთა წყალთა შორის, პირუ̂ჱლი მტკუ̂არია, ხოლო მეორეს ეწოდება პოსხოვანჩაი, რომელიცა ერთჳს მდინარე მტკუ̂არსა. უეჭველია, ამ ქალაქს თავისი წოდება მიუღია ახალის ციხისაგან, რომელიცა არის აღშენებული აქედან მისავალზედ, მარჯვნივ მხარეს, მომაღლო კლდეზედ და რომელიცა დაჰყურებს როგორც ქალაქსა, ისე ვიწროს გზასა, საიდანაც შემოდიან ვაჭრები ოსმალეთითგან. ამ ქალაქის აღშენების, ანუ ვსთქუ̂ათ დაწყებების წელიწადი მატიანეთგან არა სჩანს. ამბობენ ვითამც ახალციხე დიდის ხნის აღშენებული იყოს. ისტორია მხოლოდ ამას მ-

გვითხრობს, როდესაც სომხეთის სამეფო, სომხეთის მეფის ვაგარშაპისაგან მეორეს საუკუნეში, ქრისტეს დაბადების წინეთ, განყოფილიყო თხუთმეტ ნაწილად, მაშინ ეს ქალაქი ახალციხე იყო, ერთი იმ სომხეთის სამეფოს ნაწილთაგანი.

მეთერთმეტეს საუკუნეში, ქრისტეს წინეთ ახალციხე თავისის სამზღვრებით დარჩა საქართჳელოს და ეწოდა ზემო ქართლი, ანუ საქართჳელო. (*) ბოლოს დროს აიღეს ოსმალებმა და ეჭირათ ორასის წლის განმავლობაში. ორასის წლის შემდგომს ისევე საქართჳელოს დარჩა. **1508** წელს ოსმალებმა ამურატ მესამის დროს საქართჳელოს წაართვეს ახალციხის მაზრა, მაგრამ იმის შემდგომ გადავიდა სპარსეთის ხელში.—**1637** წელსა, სულთანის ამურატ მეოთხის დროს, წაართვა სპარსეთს ოსმალეთის მხედართ—მთავარმა გარემ—ფაშამ, მას შემდგომ ოსმალეთის ხელშია, მაგრამ **1829** წელსა, ადრიანოპოლის ტრაკტატის ძალით, დაუბრუნდა საქართჳელოს მხოლოდ სრულებით არა და, მეოთხედი.—

ახალციხის ციხეში არის დარჩომილი მშჳენიერი მეჩეთი ახმედ-ფაშისა. ეს მეჩეთი ქრისტიანურ ეკკლესიად გადაუქცევიათ და შიგ ყოველთჳს წირვა-ლოცჳა არის. ეს მეჩეთი აღშენებული არის **1161** წელსა

---

(*) ისტ[illegible]იის მისედვით რომ ვიანგარიშოთ, საქართჳელოს მეფეების ხელში ყოფილა ქრისტეს დაბადების წინეთ თითქმის ექვსასი წელიწადი.

იმათის წელთ აღრიცხვის მიხედვით, რომელსაცა უწოდებენ სეჯრის. გარშემო რაც შენობა აქჳს, არის ოთხკუთხიანი; სვეტები აქჳს მიმდგარი, ნათალის მრთელის ქჳისა. ეზოს შუა-გულს დასავლეთის მხრივ, არის გუმბათი, სადაცა აუზი არის და ამოდის წყლის შადრევანი. დასავლეთის მხარეზედ, ეზოში არის დარჩომილი ჩინებული შენობა ,თავისის გალლერეიათი, სადაცა ყოფილა სასწავლებელი და მასში ყოფილა აგრეთჳე მდიდარი ბიბლიოტეკა, სადაცა წყობილა ექჳსასი წიგნი და კიდევ მრავალი ჴელნაწერი წიგნები. თჳთან ეს მეჩეთი არის აღშენებული ახმედ-ფაშისაგან და ბიბლიოტეკაც იმისაგან შემდგარი.—

ახალციხე არის ოსმალოს საქართჳელოში შუა გული ადგილი, სადაცა არის დიდი აღებ-მიცემობა: ამას გარდა მესხელებს აღებ-მიცემობა აქჳსთ აზრუმთან, ყარსთან, ტრაპეზონთან, კოსტანტინეპოლთან, არტაანის, ლივანის, აჭარის და სხჳა დაბებთ ერთმანერთ შორის.—

ახალციხე აღვწერეთ მოკლედ ვსთქჳათ, მაგრამ ისეთი რამ დაუტევეთ, რომელიცა ჩჳენთჳს დიდად შესანიშნი არის და დიდი მნიშვნელობაცა აქჳს ჩჳენთჳს. როგორც ზემოთაცა ვსთქჳთ, მესხელები, როგორც სამზღჳარს გარეთ მყოფნი, ისე ჩჳენში, წმინდად ქართჳელების ნათესავნი არიან ჩამომავლობით და ქართულსაც წმინდად ლაპარაკობენ, მაშასადამე, როგორც ჩჳენ, ისე იქით მხრივ ქართჳელი თათრები, ყოვლის ღონისძიებით უნდა ვცდილობდეთ ერთმანერთთან შეერთებასა,

ანუ დაკავშირებასა, მაგრამ როგორც ჩუჱნდა, ისე იმათ საუბედუროდ, არა თუ უახლოვდებით ერთმანერთსა, არცა თუ ვეკარებით და ჩუჱნს სამფლობელოში მყოფნი ქართუჱლი—თათრები ხომ თითო თითოდ იყრებიან და გადადიან ოსმალეთში, როგორც თჳთან ჩუჱნა ვნახეთ ადგილობრივ. ამისი მიზეზი აი რა არის:

ქართლსა და კახეთს ერთი საუბედურო სენი შესჩუჱვია, ესეც ხალხის სიღარიბისა გამო. მოახლოვდება თუ არა ზაფხული, თავადის-შვილი არის, აზნაური, თუ გლეხი; მოატანს თუ არა მკა, ლეწუა, ერთის სიტყვით ზაფხულის სამუშაო დღეები, დასჭირდება ფული, რა ჰქნას, ვის მიმართოს, ვისთან წავიდეს,—ესეც კარგათ ვიცით, ამ გუარს გაჭირების ალაგს ჩუჱნი სომხები მრიელ მალე მიაგნებენ. ყოველს ოჯახს, მამულის პატრონს, თავისი ვაჭარი სომეხი ჰყავს შეჩუჱული, რომელიცა დიდის სიამოვნებით უმართავს ველსა, მისცემს ფულს, დააწერს ერთი ორად და როცა შემოდგომა მოვა, ვალში დაჰხვეტავს მრთლად მოსავალსა და მამულის პატრონი რჩება ცარიელი და ცარიელი შეჰყურებს მომავალს წელიწადსა; მოვა გაზაფხული, ისევე ის ხვედრი მოელის, ისევე ის შეჭირვება, ისევე სესხება, ისევე მიცემა და თავის დღეში ვერცა თუ ერთსა გროშსა ხედავს თვალითა.—

ახალციხის უეზდში, ბეგები ყოფილან და ახლაცა არიან: ერის-თავები, ფალავანდები, აბაშიძეები, ხერხეულიძეები, ამილახვრები და სხუანი. ამათაც შესჯდომიან

ახალციხის ვაჭრები,—ამ ბეგებისათჳს ღალას, სატყეოს თუ სხჳას, ეს ვაჭრები იღებდნენ, მიჰქონდათ და ბეგებს აბარებდნენ, იმათ ეს ვაჭრები დიდი ერთგულები ეგონათ. რასაკჳრველია ეს ცრუ ერთგულნი ისარგებლებდნენ კიდეცა,—ბოლოს მეტიც მოინდომეს, ამ მცირეს აღარ დასჯერდნენ; დააგდეს ხმა, რუსები გაქრისტიანებას გიპირობენო,—მოლლებმა შეიტყეს თუ არა, მოჰყვნენ ვედრებას და ჩაგონებას, რომ აქ აღარ დამდგარიყვნენ,-გაიქცნენ ეს ბეგები ოსმალეთში, ჩააბარეს თავიაანთი მამულები, შინაურ ერთგულთვაჭართ სომხებსა და სთხოვეს შემოსავალს ოსმალეთში გვიგზავნიდეთო და თქჳენც ისარგებლეთო. «ქურდს რა უნდა ბნელი ღამეო» ამათაც ეს უნდოდათ,—გადაიხვეწნენ საცოდავნი ბეგები. იქ ელიან მამულის შემოსავალსა, გამგზავნი არა ჰსჩანს; ბოლოს რომ მოთმინებითგან გამოვიდნენ, ცოტა არ იყო ოსმალეთში შიმშილმაც შეაწუხა, აიღეს თავი ამ ამილახვრებმა, ერის-თავებმა, ფალავანდი-შვილებმა და გადმოვიდნენ დიდის ვედრებით თავისავე მიწა წყალზედ, მაგრამ რა დაეკარგათ, რას ემებდნენ! ერთი მტკაველი ალაგი აღარავინ დაუბრუნა.——რა იყო მიზეზი? აი რა: მინამ ისინი დაბრუნდებოდნენ, ვაჭრებს მოუყვანიათ უცხო ვიღაცაები, რომელთაცა დაურქმევიათ მამულის პატრონის გვარები და შინაურის ბარათებით დაუმტკიცებინებიათ. იმართება დავა, ამ დავაში ეცემიან ჩჳენნი ბეგები და ახლა ვინც იყო ერის-თავი, ზოგი დროების მიხედვითაც, ის შექნილა ხამურ-ოღლი (ეს გჳარები

ჰსცხოვრებენ ქუაბლიანში) ვინცა ყოფილა ფალავანდის-შვილი ის შექნილა ფაჰლევან-ალა და ეს გუარები ჰსცხოვრებენ ახალქალაქში; (*) ვისაცა ჰქონია გუარი აბაშიძეებისა, ისინი იწერებიან შარიფ-ბეგად და სცხოვრებენ სოფელს აწყურში, ჰსცხოვრებენ კიდევ ბეგები ხერთვისში, გუარად ხერხეულიძეები და მრავალნი საქართუელოს თავადის შვილების გუარები. თჳთანვე ამბობენ, ჩუენ ესა ეს და გუარი ვართო.—გადასახლების მიზეზები სხუენიც არიან, რომელსაცა მიაწერენ ჩუენს რუსეთის მთავრობასა, რომელსაცა ფიქრათაც არ მოსვლია. ჩუენი მთავრობა ყველასათჳს კარგსა და კეთილსა ფიქრობს; იმისათჳს თათარი და ქართუელი; სომეხი და ფრანგი, გინდა ურია, სულ ერთია. ინებოს ღმერთმა, სხუა საჴელმწიფოშიაც იყოს ის კეთილმდგომარეობა ხალხისა, როგორც რუსეთშია, ჩუენის დიდის განათლებულის ჴელმწიფის მფარველობით. ამ აღრეულებაში და სიცრუვით მითქმა-მოთქმაში, ოთხას სულამდინ გლეხები გადასახლებულან,—მაგრამ ახლა, აქაური ნაჩალნიკი თ. ზ. რატიშვილი ისე გულკეთილად ექცევა თავის სისხლით და ხორცით მონათესავე ქართუელ-თათრებს და ისე არწმუნებს, რომ გაქცეულები თითო თითოდ უკანვე ბრუნდებიან. შკოლებიც დაუმართავთ აქა-იქ სოფლებში, სადაცა ქართულს ენასაც ასწავლიან. ჩუენი ერთმანერთთან დამოკიდებულება მრი-

(*) არ იფიქროს მკითხუელმა, გორს ქუემოთ რომ ახალქალაქია იმაზედ ვამბობდეთ. ეს ახალქალაქი არის ახალციხის უეზდში

ელ საჭირო არის როგორც იმათათჳს, ისე ჩუჱნთჳსა რას ვემართლებით მამა-პაპათა; თუ ისინი ერთობითა და სიყუარულითა ჰსცხოვრებდნენ; თუ იმათ შორის დანერგილი იყო ძმური და ერთნათესაობითი სიყუარული,—ჩუჱნ, შჳლები, შჳლის-შჳლები, რათ უნდა ვსპობდეთ ერთმანერთში ამ საღრმთოს დამოკიდებულებასა.

ეს არის აქ შესანიშნავი საყვარელო მკითხველო, რომ როდესაც ბეგსა ვისმე ჰკითხავ, თუ ვინ არის ისა, მაშინვე დაუფიქრებლივ მოგიგებს, ქართუჱლი ვარო. გუარსაც გეტყჳს, დიასამიძე, ანუ თავაქირიძე ვარო. იმასვე ათქმევინებ, რომ ჩუჱნი ერთმანერთში დამოკიდებულება დიდად საჭირო არის.

მამულების თავით გაყიდუას ხომ სრულებით დაუღუპავს ახალციხის უეზდში მცხოვრები ქართუჱლ-თათრების გლეხ-კაცობა. თავით გაყიდუა აი რა არის: ერთ-ერთს ბეგს გაუყიდნია შემოსავალი რომელსამე სომეხზედ ანუ ფრანგზედ,—არ დაივიწყოს მკითხუჱლმა, რომ გაუყიდნია მამულის შემოსავალი და არა თჳთან მამული,—ამ პირობით, რომ უნდა მამულის შემოსავლით ისარგებლოს მყიდველმა და ნამდვილ მამულის პატრონს აძლიოს მეხუთედი. მყიდველი ჯერ თავ და პირველად გლეხს მეხუთედს ართმევს, რომ მამულის პატრონს მისცეს, დანარჩენს უყოფს შუა,—ნახევარს თჳთან, თავის სასარგებლოდ იღებს, შემდგომის ნახევრითგან, რომელიცა ეს მაინც უნდა დარჩეს გლეხ-კაცსა, მოურავი, ანუ ახჩის ამკრეფი (გადასახადს აქ ახჩას უ-

წოდებენ) თავის სამოურაოს იღებს, ზოგს წყალში ატყუებს და გლეხ-კაცი საცოდავი, ჰრჩება ხახა ცარიელი. მეტად თავ-გამოდებით გამოჰკიდებია ნაჩ. თ. ზ. რატიშჳლი და მეტად გულ-მხურვალედ ჰშველის დაჩაგრულს გლეხ-კაცსა,—ღმერთმა უშველოს, რომ ასე გული სტკივა შევიწროებულ ქართველ თათრებისათჳს. ერთის მხრით ხომ გლეხი იღუპება, მეორეს მხრით აღარა ჰსჩანს მამულის პატრონი და თუ ჰსჩანს, იმას თავისი მამული საკუთრებად აღარა ჰგონია ამისათჳს, რომ შემოსავალი გაყიდული აქუს საუკუნოდ, მაშასადამე, საუკუნოდ თავის მამულს ვერც გაჰყიდის, ვერც დააგირავებს და ვერც დაიბრუნებს. აი მიზეზი, რომ სახლდებიან ქართველი თათრები ოსმალოში. თ. ზ. რატიშჳლს ნაუგონებია და დაუბეჯითებია, რომ ჩუენი მთავრობა იქ მცხოვრებთათჳს დიდად ჰზრუნავს და ბევრი კეთილი ჰსურს, ეს იმათი გადასახლება შემდგარა. იმედია, ადრინდელს დროს მიშლილ-მოშლილი საქმე გაკეთდეს და არა თუ ესენი გადასახლდნენ, რომელნიცა გადასახლებულან, იქნება ისინიც დაბრუნდნენ.

---

ჩუენს ახლოს, ახალციხის მხრივ გვიდგანან მეზობლები, რომელნიცა სისხლით და ხორცით ეკუთვნიან ჩუენს შთამომავლობას, ანუ ჩუენს ნათესაობასა,—ეს მეზობლები არიან ძუელნი მესხელნი, ძუელნი ქართუელნი. ჩუენი ვალი იყო აქამდინაც მოგველაპარაკნა ჩუენის ჟურნალის მკითხველებთან და გვეჩუენებინა, თუ

როგორი ერთობა ჰქონდათ ჩუ̂ენთა მამა-პაპათა იმათთან, ან როგორი მზგავსება ხასიეთებში, თუ სხუ̂ა წესებში, რომელნიცა არიან და დარჩენილან ხალხის სასიქადულოდ, მაგრამ ჟამთა ვითარება არ გვაძლევდა ნებასა. მინამ ვიტყოდეთ რასმეს ვრცლად იმათ გარემოებაზედ, უნდა ვსთქუ̂ათ ჯერ თავ და პირველად, თუ სად არის მდებარე ეს ძუ̂ელი მესხეთი და იქ მოსახლენი რომლის ენით ლაპარაკობენ და ძუ̂ელს დროსა, როგორსა, სამფლობელობასა შეადგენდნენ და ვისთანა ჰქონდათ დამოკიდებულება და კავშირი.—

ახალ-ციხის უეზდში, რომელიცა ეკუთვნის ჩუ̂ენს რუსეთის მთავრობას და ჩოროხის მხარეზედ, საიდამაც იწყობა მდინარე მტკვრის სათავე, იქიდან დაწყობილი, რომელიცა ახლა ოსმალოს მთავრობის ჴელშია, თჳთ ძველი დროთგან არიან დასახლებულნი ქართუ̂ელები. ახლანდელი ახალციხის უეზდი და ჩოროხის მხარე შეადგენდნენ ერთსა ქუ̂ეყანასა, რომელიცა განიყოფებოდა სამს ნაწილად; პირუ̂ელს ნაწილს ეწოდებოდა მესხეთი, მეორეს ზემო ქართლი და მესამეს საათაბაგო. ძუ̂ელს დროში ეს სამნივე ნაწილი ერთად შეადგენდნენ ერთსა ნაწილსა საქართუ̂ელოს სამეფოსა, და არცა შეიძლებოდა რომ ასე არა ყოფილიყო, ამისათჳს, რომ იქ მოსახლენი, როგორც ზემოთაცა ვჰსთქჳთ, სარწმუნოებით, ჩუ̂ეულობით, ხასიეთებით, ენით, სრულებით ჩუ̂ენ გვეკუთნოდნენ და ერთობ, როგორც ისინი, ისე ჩუ̂ენ ერთს ქართუ̂ელს ნათესაობას ვეკუთნოდით და ახლაც

ვეკუთვნით.—

ამ ქჳყანას ისეთი ბუნებითი ციხეები აქჳს, რომ მტერი ძნელად შეუვა. მრავალჯერ მესხეთი ამ სიმაგრე-ებით შემაგრებულა ოსმალოს დაცემისაგან; ჰავა არის აქ მრთელი და ჩინებული; მოსავალი მოდის მდიდარი; ამას გარდა, ადრინდელს დროში ამ მესხეთში ქართუ-ლი მწიგნობრობაც დიდს წარმატებაში იყო, რადგანც განათლება ბერძენთა შემოჰქონდათ, ახლოს მეზობლების ვიზანტიელებისაგან და ტრაპიზონში მცხოვრებთაგან. ბაგრატიონთ ნათესაობას ჰქონდა ბინადრობა არტანუ-ჯში და ჩოროხის ზემო მხრივ, საიდანაც გაავრცელეს თავიანთი უფლება დანარჩენს საქართჳელოზედ. ეს მი-ზეზები იყო, რომ ძჳელი მესხეთი მაშინდელს დროში დიდად დაწინაურებული იყო ჰსწავლით. მესხეთში მცხო-ვრებნი ქართჳელნი იყჳნენ შრომის-მოყჳარენი და ეტა-ნებოდნენ დიდის მეცადინეობით ვაჭრობის გავრცელე-ბასა. მტკვრის კიდეებზედ და სხჳა ადგილებში აშე-ნებდნენ ვენახებსა, იმ დღითგან შეიმუშავებდნენ ვენახე-ბსა, მინამ დაუტევებდნენ უბედურებითთა მიზეზთა გამო, თავიანთ მამა-პაპათ ქართჳელთ სარწმუნოებასა; ახლა-ცა, ზოგი ერთს ალაგებში კიდევაც არიან მაშინდელი ვენახების დარჩენილი ვაზები; იმდენი პური მოსდიოდათ, რომ როდესაც საქართჳელოში შიმშილი გაჩნდებოდა, მესხელები დიდ ძალს პურს უგზავნიდნენ თავიანთ მო-ძმეებს საქართჳელოში. მესხელები, ქართჳელებზედ თითქმის მაღლა იდგნენ. საუკეთესო საქართჳელოს

მწერლები, რომელნიცა ჰსცხოვრებდნენ ცხრა საუკუნითგან დაწყობილი, ცამეტ საუკუნემდინ: შოთა რუსთაველითგან მოკიდებული; გამოჩენილნი ქართული სამღრთო წერილის და მამათ-ცხოვრების მთარგმნელნი, რომელთაცა აღაშენეს ივერიის მონასტრები ათონის მთაზედ, იყუნენ შთამომავლობით ზემო ქართლელები. (მესხელები) არც ერთს საქართუელოს მხარეზედ არ არიან იმდენი მონასტრები და ეკკლესიები, მშუენიერის ვიზანტიურის ხელოვნებით გაკეთებულები, რამდენნიც არიან ძუელს მესხეთში. თითქმის წვრილი ეკკლესიებიც, სოფლებში, აშენებულნი არიან ნათალის ქჳსაგან და ჩუქურთმებისა. მრავალთ-უმრავლესნი ეკკლესიების დარჩომილი შენობაები არიან მესხეთში და აქედანა ჰსცნობს მნახუელი, რომ მესხნი მეტად მკვიდრადა დგომილან ძუელს დროში ქრისტეს სარწმუნოებაზედ და ამასთანავე ცხადად დაინახავთ, რომ ქრისტეს სარწმუნოება შემოსულა აქ პირუელს საუკუნეში, მოციქულის ანდრიასაგან, მაშასადამე სამის საუკუნით ადრე საქართუელოზედ და კახეთზე. ქრისტეს სარწმუნოება გავრცელებული იყო აქ შვიდმეტის საუკუნის ნახევრამდინ.

მესხელები ყველასაგან ცნობილ-იყვნენ ვაჟკაცად; ოსმალები, რომელნიცა თჳთ მცირეს ძალით იჭერდნენ მრავალს ქუეყნებს, მესხელებს მრთელს ერთს საუკუნის განმავლობაში ებრძოდნენ, დიდის ჯარით, რომელსაცა

დიდხანს უმაგრდებოდნენ ათაბეგები. ეს ათაბეგები იყვნენ ჯაყელის გუარისაგან და თამარ მეფის დროს თორმეტს საუკუნეში შეიქნენ მრიელნი და გამოჩენილნი. როდესაც საქართველო განიყო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ, ჯაყელების წოდების მიხედვით, იმ ქუეყანას უწოდეს—საათაბაგო. საათაბაგოს სამზღვრები ჰქონდა: ქართლის მხრივ, ბორჯომის ხეობაში შესავალი; აზრუმის მხრივ ის ადგილი, სადაცა იყოფიან ორნი მდინარენი: ევფრატი და ჩოროხი; ხოლო ტრაპიზონის მხრივ სამზღვარი ლაზელებისა, რომელნიცა არიან აგრეთვე ნათესავით ქართველები. როდესაც ოსმალოებმა 1629 წელსა, დაიჭირეს საათაბაგო, შემოიტანეს აქ თავიანთი წესდებულება და გაჰყვეს სანჯაკებად, მაგრამ ოსმალოები მკვიდრს ბინადრობას ვერ მოელოდნენ საშუალ იმ ხალხისა, რომელნიცა იყუნენ იმათი მოსისხლე მტერნი,—ეს იყო მიზეზი, რომ იხმარებდნენ ბარბაროსულს ძალასა, რათა ამოეხოცათ ქართველების ჩუეულება. მრიელ აკრძალული იყო ოსმალეთის მთავრობისაგან ქართულს ენაზედ ლაპარაკი და ქართულის ტანისამოსის ჩაცმა; ცდილობდნენ შეეტანათ ხალხში თავიანთი ტანისამოსის ხმარება და თავიანთის ჩუეულებაებისა; ამასთანავე ცდილობდნენ ამოეხოცათ დიდი კაცები, რომელთაცა ჰქონდათ ხმა ხალხზედ. უფრო მეტსა სისასტიკესა ჰხმარობდნენ, ქრისტეს სარწმუნოების ამოსახოცავად; რომელიცა არ მიიღებდა ისლამის სარწმუნოებას, იმასა ჰსტანჯავდნენ სხუა და სხუა გუარ

სატანჯველით, ანუ შეუბრალებლადა ჰკლავდნენ. ქართველებსა ჰსტანჯამდნენ ამ გუარად, მაგრამ სომხებსა და ფრანგებს, რომელნიცა ჰსცხოვრებდნენ მცირედნი აქა-იქ სოფლებში, კელს არავინ ახლებდა: მრავალნი მესხნი შეიქნენ მოწამენი, ზოგნი გადმოსახლდნენ ქართლში და იმერეთში, უფრო დიდ ხანს უმაგრდებოდნენ აჭარელები და ჩოროხელები, რომელნიცა ჰსცხოვრებდნენ უფრო მოშორებით ახალ-ციხეზედ, სადაცა შეკრებილიყო ოსმალების მთავრობის უმეტესი ძალა. ახლაცა ცოცხალან მველნი კაცები, რომელნიცა მოსწრებიან და უნახავთ, თუ როგორ მტკიცედ იდგნენ თავიანთ სარწმუნოებაზედ ლაზელები და როგორ მამაცად ებრძოდნენ ისლამიზელებს თავიანთ ქრისტიანობის სარწმუნოებისათჳს. ზოგჯერ მოხდებოდა რომ, ქრისტიანნი ლაზელები, ჰსცხოვრებდნენ შემსუმბუქებით მაშინ, როდესაც მაღალ-მოთანამდებო პირებად იყვნენ ქართველთ ნათესავთაგანნი; მაღალ-მოთანამდებო ალაგები ბევრჯელ ეჭირათ აქაურთა მცხოვრებთ ქართველებთ, თავადთ ხიმშიაშჳლებს და ზოგთა ერთა ათაბეგებთა. აქ მცხოვრებთა მველმა კაცებმა ახლაც იციან და ახსოვთ, თუ როგორ ესარჩლებოდა აქაურს ქართველებს სულეიმან-ფაშა თვრამეტს საუკუნეში. ეს ის სულეიმან იყო, რომელმაცა გაიტანა ახალციხეში მიწის ქვეშ წყლის არხი. ეს ხსენებული სულეიმან-ფაშა თუმცა გათათრებული იყო, მაგრამ მამა-პაპათა ჩვეულება იმაში არ იყო ამოხოცილი. ისე წელიწადი არ გავიდოდა რომ, რა-

მდენჯერმე არ გადაეხდევინებინა მღუდლებისათჳს პანა-შჳდი, თავის მამა-პაპათ ათაბეგების მოსახსენებლად. ერთხელ იმისათჳს, როდესაც ოსმალოს მთავრობამ გა-უგო, სამსახურითგან დაითხოვეს.——

1829 წელსა, ადრიანოპოლის ტრაკტატის ძალით, ჩუჱნს საქართუჱლოს შემოუერთდა ხუთი სასანჯაკო, რომელნიცა შეადგენენ ახალციხის უეზდსა. მას აქეთ იქნება თითქმის ორმოცი წელიწადი, დანარჩენი სანჯა-კები: ფოცხოვი, ჩლდირი, ორთჳლი, ლაზეთი, შავშეთი, არტაანი, ლივანა, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, ბათუმი და ქობულეთი ახლაცა ოსმალეთის ხელშია, თუმცა სა-მართლით გვეკუთვნის ჩუჱნ.

გაბედვით შეგვიძლიან ვთქუა, რომ გათათრებულ მე-სხელებში, ახლაცა ტრიალებს ქართუჱლების ჩუჱულ-ება და ხასიეთები. მრთელმა იმოდენა მცხოვრებმა იციან თავიანთი შთამომავლობა და ახსოვთ კარგათ, რომ ეკუ-თვნიან ქართუჱლთ ქრისტიანთ ნათესაობასა, ოსმალ-ეთის ჩუჱულება ჯერ კიდევ აქამდინ ვერ შეუწყნარე-ბიათ. იმათი ხასიეთები, ჩუჱულებაები ისევე ის არის, რაც ყოფილა ორისა და სამის საუკუნის წინ. იმათს სი-მღერებში, რომელნიცა დარჩენიათ მამა-პაპათაგან, ისმი-ან საქართუჱლოს მეფეების სახელები და იმათი ვაჟკა-ცობა; ამასთანავე ზოგი ერთს იმათს სიმღერებში ისმის ქება იმ ათაბეგებისა, რომელთაცა მიუღიათ ო-სმალებისაგან წამება ქრისტეს სარწმუნოებისათჳს. მა-ლიან იშჳათად შეხვდება აქ კაცი იმისთანა მესხსა, თუ-

მცა ყორანი ნებას აძლევს, რომ ჰყვანდეს ერთ ცოლზედ მეტი. ეს არის შესანიშნავი, რომ ქართული ენა ისევე წმინდა და შეურყეველი არის, როგორც ყოფილა ადრინდელს საუკუნოებში, თუმცა ოსმალოებისაგან დიდს შეიწროებაში ყოფილა. ახალციხის ოთხსავე მხარეზე ტრაპიზონამდის, მრთელი აქ მცხოვრებნი ლაპარაკობენ წმინდა ქართულის ენით, თუმცა გათათრებულები არიან. აჭარის და ჩოროხის სოფლებში, დღევანდლამდის წმინდად არის შენახული ქართული ენა. ოსმალეთის ენა იციან მხოლოდ იმათ, რომელნიცა არიან იმათ მთავრობის სამსახურში, მაგრამ არც იმათ სახლში იციან ოსმალური ენა. იმათ სახლში ცოლი და შვილები ლაპარაკობენ ქართულს. მართალია მესხელები გათათრებულან, მაგრამ ისინი არიან გათათრებულნი მხოლოდ გარეგანის შეხედულობით; შინაგანი გრძნობა ისევე ქრისტიანებისა აქვსთ, როგორც ყოფილან ადრე. ოსმალებს თავიანთი სარწმუნოება მოუხვევიათ თავზედ ძალად, და ვერც ისე დამკვიდრებულა, რომ იმ სარწმუნოების შეცვლა საძნელო იყოს. ამბობენ აქაურნი მცხოვრებნი რომ, არა თუ მარტო მესხეთში, მრთელს ოსმალეთში დაფანტულები იყვნენ თურმე მღჳდლები, ნათესავით მესხელები და ჩუმად ჰქადაგებდნენ ქრისტიანობასა. ათაბეგობის დროთგან მღჳდლობის ღირსება დარჩომილიყო ზოგი ერთს სახლობაში და შვილებს, შვილის-შვილებს ჰქონდათ ანდერძად, რომ კურთხვილიყვნენ მღჳდლად: ამ წოდების მისაღებად ხან მიდი-

ოდნენ საბერძნეთში და ხან საქართჳჱლოში, სადაცა აკურთხებდნენ ეპისკოპოზები.

1829 წელში, მრთელს მესხეთში იყჳნენ სამნი მღჳდელნი მესხელნი: ერთი იმათგანი იყო ორბელიანთ გჳარისა, მეორე სულხანის-შჳლი, ხოლო მესამე მურვანის-შჳლი; ამათგანი ორნი გარდაიცვალნენ რამდენიმე წლის წინეთ, ღრმად მოხუცებულნი, ხოლო მესამე, ესე იგი მურვანის-შჳლი, რომელსაცა უკურთხებია მღჳდლად 1824 წელში, საბერძნეთის მიტროპოლიტს თეოკლიტოსს აზრუმში, ახლაცა ჰსცხოვრებს სოფელს ტოლოშში, ხერთვისის ახლოს. თავის კეთილ-მოქმედებისათჳს და პატიოსნურ ქცევისათჳს დიდსა პატივსა ჰსცემენ გარშემო სოფლებში მცხოვრებნი ქართჳჱლი თათრები. ეს პატივცემული მღჳდალი ღრმად მოხუცებული, თჳთან მე ვნახე ხერთვისში და მიანბო მრავალი რამ. სხჳათა შორის მითხრა, ორმოცი წელიწადი იქნება რაცა ვმღჳდლობ და ამ ორმოცის წლის განმავლობაში სამასსამდის სული ქართჳჱლი, მომინათლავსო, თუმცა სულთან მაჰმუდის დროს, ახალციხის ფაშა, იჩელლი ახმედ ფაშა, მრიელ მსდევნიდა, მაინც მე ჩემსას არ ვიშლიდიო. ეს მღჳდელი, ვასილი მურვანი-შჳლი, ჯერ პირჳჱლად ყოფილა მღჳდლად არტაანში, შემდგომ სოფელს საროში და ახლა ტოლოშშია. თვალებზედ ცრემლი მომადგა, როდესაც ვნახე, ეს პატივცემული მოხუცი მღჳდელი, საშუალ-ქართჳჱლ-თათრებისა; ვნახე ღრმად ჩაფიქრებული, რომელსაცა მოქურუთებულის სა-

სით უყურებდნენ აქაური ეფენდები.

ოსმალეთის სამთავროში, ეს ზემოხსენებულნი საღ-მრთო პირნი, საიდუმლოდ შეჰკრებდნენ თავიანთთან მართლ-მადიდებელთ ქართჳელთ ქრისტიანებსა დ საი-დუმლოდ უნათლავდნენ შჳლებსა. გათათრებულნი ქარ-თჳელები დღესაცა დიდის კრძალვით მიდიან დაქცეულს აქა იქ ეკკლესიებში დ დიდის მოწიწებით ლოცულობენ თავიანთ მამა-პაპათაგან დარჩომილს ანდერძად წმინდა-ნების ადგილებს. თუ სადმე ნახავს კაცი დაქცეულს ეკკლესიებს დ იქ ხატების მხატვრობასა, რომელნიცა არიან წაბღალულები დ ამასთანავე ჩამოქცეულები, ეს არის ჩადენილი ოსმალებისა დ ლეკებისაგან, როდესაც დასცემიან სხჳა დ სხჳა დროსა. ქართჳელ-თათრების სოფელში რომ გაიაროს კაცმა, ნახავს ზოგი-ერთს ა-ლაგს ეკკლისიას, რომელიცა გადაუქცევიათ მეჩითად, სადაცა ნახავს დღესაც კედლებზედ ქართჳელთ წმინდა-ნების მხატვრობასა, ჯვრებსა დ ქართულის ენაზედ ზედ-წარწერილსა. მთებში, უდაბნოებში, ნახავთ ეკკლესიებს, სადაცა დარჩომილ-არიან ახლაცა ძჳელი საღრმთო წიგნები დ მღჳდლის შესამოსლები, რომელნიცა უპა-ტრონოთ ლპებიან.

მესხეთში მცხოვრებთ თათრებსა აქჳსთ ჩჳეულებად: სოფლებში, სადაცა ეკკლესიები გადაუქცევიათ მეჩეთებად, შეიყრებიან, მივლენ ახლოს, კედლებზედ აკრავენ ანთე-ბულს წმინდა სანთლებსა დ უკმევენ საკმელსა. სოფლის სკირის მცხოვრებნი, წმინდა გიორგის დღეობას იკრი-

ზებიან ეკკლესიაში, ლოცულობენ, საღმთოებსა ჰკლა-მენ, ადგილობრივე ჰსჭამენ და ლოცჳაში ხშირად იხსე-ნიებენ წმინდის გიორგის სახელსა. მოხდება ხშირად, რომ თუ მოკჳდა ვინმე გათათრებული ქრისტიანი, იმის შჳლები, თუ ნათესავები უხდიან პანაშჳდსა ქართჳელთ ქრისტიანობის წესით. სოფელს ვალეში, ერთი სახ-ლობა არის, რომელიცა ყოველს აღდგომის დღეს და შობას, იხდის წირვას ქართჳელთ ქრისტიანობის წე-სით, მოსახსენებლად თავის წინაპარისა, რომელიცა ყო-ფილა ეპისკოპოზი და რომელიცა ასაფლავია იმავე სო-ფლის ეკკლესიაში. ამ ეპისკოპოზის საფლავი ვნახე. ეს არის ნათალის ქჳსაგან აღშენებულს ეკკლესიის გალა-ვანში, ეს გალავანი შეუერთებია ხეხილის ბაღისათჳს იმ ეპასკოპოზის შთამომავლობას. ეს ეკკლესია არის აღშენებული წმინდის ღჳთის-მშობლის სახელზედ **1535** წელსა, კოსტანტინე ათაბეგისაგან. იქ გალავანში დასა-ფლავებულს ეპისკოპოზსა რქმევია, როგორც მითხრა, იმის შჳლის-შჳლმა, იმავე სოფელში მცხოვრებმა იბრა-იმმა,—ილარიონ. რომ ვკითხე, ახლა როგორ იწერე-ბა,—მომიგო, ახლა ვარ სახელად იბრაიმ და გჳარად ილარ-ოღლიო.

როგორც გვიანბო, სოფლის ხერთვისის ჯუხუტ ე-ფენდიმ, ზოგნი ერთნი ქრისტიანების მარხვას ინახამენო, ისე, როგორც უნახავთ ამათ მამა-პაპათა; არიან იმი-სთანა ძჳელი კაცებიც, ღრმად მოხუცებულები რომელ-ნიცა მარხულობენ ოთხ-შაბათ პარასკეობითაც. თუმცა

თითქმის ორასი წელიწადი იქნება რაცა სდევნიან ოსმალები მესხელებს, მაგრამ საკვირველი ეს არის, ქართჳჱლების ჩჳჱულება მაინც ისეთივე არის, როგორც ყოფილა ადრე. ამასთანავე თუმცა სდევნიან, მაგრამ დღესაცა დიდი სურვილი აქჳსთ დაადგნენ მამა-პაპათ გზასა და შეუერთდნენ თავიანთ მოძმეთ ქართჳჱლებსა. ძლიერ ჰსურსთ ზოგთა მოინათლნენ, მაგრამ ეშინიანთ არ მიეცნენ სასჯელსა ოსმალებისაგან; დიდად ჰსურსთ, როგორც შევნიშნე მათ ლაპარაკში, შეუერთდნენ თავიანთ ახლოს მეზობლებს ქართჳჱლებს, რომელთაცა ეკუთვნიან სისხლით და ხორცით; რომელთანაცა აქჳსთ ერთი ნათესაობა, ერთი შთამომავლობა; ჰქონიათ სარწმუნოება; აქჳსთ ერთი ჩჳჱულება, ერთი სული და ერთი გული. როდესაც მრთელი ხალხი ჰსცდილობს ერთად შეერთებასა, იმ ნათესაობისას, რომელნიცა აქაიქ გაბნეულნი არიან, რომელნიცა შეადგენენ ერთსა შთამომავლობასა და რომელნიცა ლაპარაკობენ ერთის ენით, ჩჳჱნთჳს დიდად სათაკილო უნდა იყოს, არ მივაქციოთ ყურად-ღება იმ მესხელებს, რომელნიცა არიან ჩჳჱნი ღვიძლი ძმები; რომელნიცა ლაპარაკობენ ჩჳჱნის საყჳარელის ქართულის ენით.—ენა გჳაქჳს ერთი, ხალხნიც ერთნი ვართ. დიდის რუსეთის მფარჳჱლობასა ქჳჱშე, ჩჳჱნი ენა ვრცელდება, ჩჳჱნი სიტყჳერება წარმატებაში მიდის, სადამდინაც კი მიუწვდება ჩჳჱნს რუსეთის მთავრობას მალა, ჩჳჱნის კეთილ-მდგომარეობისათჳს არასა ზოგავს, და რა ბედნიერება იქნებოდა ჩჳჱ-

ნის ენისათჳს, რომ ამ ერთს ქართულს ენაზედ მესაუბრეთა ხალხთა მივვეცა ერთმანერთისათჳს მხარი დ მკვიდრად დავმდგარვიყავით მამა-პაპათა გზაზედ.—აი ჩუ͠ნი ინგილოები, ამ გუ͠არივე ჩუ͠ნი ძმები, ადრე რა მდგომარეობაში იყუ͠ნენ ლეკების ხელში დ ახლა რა მდგომარეობაში დ რა წარმატებაში არიან, რა დღითგანაც შემოგვიერთდნენ.

ღმერთმან ინებოს, მოვიდეს ის დრო, რომ ჩუ͠ნი ზემო ქართლელებიც, ესე იგი, მესხელები, ისევე ჩუ͠ნთან ერთნი ყოფილიყუ͠ნენ, როგორც ყოფილან ჩუ͠ნის მამა-პაპების დროსა. რამდენს კეთილს დ რამდენს წარმატებას მივეცემოდით მაშინ, ჩუ͠ნის კეთილ-მოქმედის, დიდის რუსეთის მფარველობასა ქუ͠შე,—

ი. ჭ.

---

(ზოგი შემდგომ ნომერში იქნება.)

## ამაოება.

არა მხოლოდ კაცს ურბის სიყრმის ოქროს დროება,
თჳთ მცენარეც ჯერ ტურფად ჰყვავის, ბოლოს დროს
ჭკნება.
მათებრ პირუტყვიც, თევზი, მღილი თუნდა ფრი-
ნველი,
მოვალს და მივალს, ერთობ ყველა ერთს კანონს ელის.
დროების სვლასა ბუნებაში?—მალუმს მას ბევრი,
რა არის კაცი მის წინაშე, არს მხოლოდ მტვერი.
სადაც ყოფილა მთა მაღალი, მინდორი გრძელი,
იქ არს აწ ვრცელი ოკიანო, თვალ-უწდომელი;
და სად ყოფილა ზღუა, იქ არის დღეს მთა მაღალი,
აჰა ბუნებას და დროს აქუს თუ ვითარი ძალი!
ამა საშინელს ცვლილებასა, მოძრაობასა,
გულის სიმშჳდით, მარადა სჩხრეკს კაცის გონება,
თუალით ხილულის, უხილავის ძლიერებასა
უჭვრეტს გაბედვით, სდევნის მისსა დაწვლილებასა!...
რა არა მალუმს კაცს გონიერს,—მას მალუმს ყვე-
ლა,
იგი ტყობულობს, არსებობას ყოველის ნივთის,
და წმინდად იცის ერთმანერთთგან მათი განრჩევა,
მის ნათელ ჭკუამ ცაში პლანეტთ რიცხვიც კი იცის!...
შეუპოვრად და გაბედვით იგი ეძიებს,
ბუნებისა საიდუმლოს გულ-მხურვალედ სჩხრეკს,

და მისი შუქი ახალს-ახალს, მუდამ მას ეძებს,
რაც ერთის შექით იმ საბრალოს მტვრად გარდააქცევს!..
გარდააქცევს მტვრად,—აქ არ შველის შუქი ნათელი,
არც ერთს არა აქვს სოფლად ბოლო მოულოდნელი,
მრთლად ქმნილებაში, სულ სრულებით კვდება და
ცვდება,
ბუნების კანონს საზოგადოს არ ასცილდება! . .

ი. კერესელიძე.

25 მარტს
1870 წელსა.
ტფილისს.

## ეგმონტი.

### (ტრაგედია.)

ალბა.

მაშ დავეშუროთ მინამ მორჩენილან ავათმყოფობისაგან, წინააღმდეგ ჩუჱნის სურვილისა.

სილვა.

ვერ მოასწრობენ! თქუჱნის ბრძანებით ჩუჱნ სუყველაფრით ვართ იმათი პატივის-მცემნი და წინათვე ცნობის მიმცემნი. იმათ ეშინიანთ, მაგრამ პოლიტიკურად, წინააღმდეგ თავიანთის გრძნობისა, მადლობას გვიხდიან; ყველა გრძნობს, რომ უმჯობესია გაქცევა, მაგრამ ვერავინა ჰბედავს პირველი ნაბიჯის გადადგმასა. არ შეუძლიანთ პირობის შეკვრა და ცალცალკე მოქმედების შეძლებასაც უშლის ის შიში, რომელიც გაუჯდათ იმათ ტანში. ცდილობენ როგორმე თავითგან აიცილონ იჭვის მიტანა და ამითი უფრო თავს აცხადებენ. სიხარულით უცქერი რომ ყველა შენი წინადადებაები მოდიან სრულებით აღსრულებაში.

ალბა.

მე მხოლოდ მაშინა ვხარობ, როდესაც ყველა სრულდება, თუმცა მაშინაც ერთბაშად არა, რადგანაც მას

შემდეგ კიდევაც ბევრი რჩება, რომელზედაც კარგათ უ-ნდა ვიფიქროთ ჲ ყურადღება ვიქონიოთ. ბედნიერებამ ერთი დანიჭება იცის: ხშირადის ბედით აპატიოსნებს ჲ საქმეთ ღრმად ნაფიქრებთ ხდის საძრახისად. აქ და-რჩები შენ ეგმონტის მოსვლამდინ ჲ მაშინ შენი პი-რით შეუთვლი ბრძანების მოცემას რომ ჯარები ჩააყენოს ქუჩებში ჲ არავინ გამოუშვას, შენ კი გასწევ დასატე-ვებელად ეგმონტის სეკრეტრისა ჲ სხჳა შენიშნულთ პირთა. შესრულების შემდეგ მობრუნდები აქვე ჲ აცნო-ბებ ჩემს შჳლს, რომელიც შემოვა ჩჳენს რჩევაში ჲ მაცნობებს მე.

## სილვა.

იმედი მაქჳს, რომ ამ საღამოზედვე გამოეცხადდე შენ წინ სრულებით საამურის ამბებითა (ალბა წავა შჳლ-თან, რომელიც აქნობამდინ იდგა გალერეაში. სილვა მდაბლის ხმით თავის-თავად ლაპარაკობს). ძნელია გა-უტყდე ჩემს თავს; მაგრამ ნამდვილად კი არა მაქჳს იმედი, მეშინიან, რომ საქმით ისე არ გამოვიდეს, რო-გორც ის ფიქრობს. ჩემს თვალს წინ თითქოს დაჰ-ფრინამენ უხილავნი არსებანი ჲ ჩუმათ, ღრმად ჩაფი-ქრებულნი, ზავის სასწორით სწონამენ ბედს ორის თა-ვადისას ჲ ამასთანვე მრავლის ათასის კაცისას. სას-წვრის უღელი დიდხანს ტორტმანებს, ჲ აი ბედის-წე-რის ნდობით, ერთი სასწვრის თეფში ჩამოდის ქჳე-

ცისკარი.

მოთ და მეორე ადის ზემოთ — და ყველა სრულდება. (გადის)

ალბა (თავისის შვილით ფერდინანდით მოდის სცენის წინ).

როგორ ნახე ქალაქი?

ფერდინანდი.

ყველგან მშვიდობიანობაა! ისე დავდიოდი ქუჩებში თითქოს სასეირნოთ. კარგათ განყოფილს ბინაებს ჯარებისათვის ისეთ ნაირად შეუშინეაბა ხალხი, რომ ჩურჩულსაც კი ვერა ჰბედამენ. ქალაქი ჰგავს მინდორს ელვა-ქუხილის წინათ; ვერ ნახამ ვერც მფრინველს, ვერც ოთხფეხს, გარდა იმათსა, რომელნიც ჩქარობენ შესვლას თავიაანთს თავის შესაფარებლებში.

ალბა.

ხომ არავის არ შეხვედრიხარ?

ფერდინანდი.

როდესაც მეიდანს დროშკით გადმოვდიოდი, მაშინ შემომხვდა ეგმონტი და მივესალმნეთ ერთმანერთს. ისეთ ცხენზედ იჯდა რომ არ შემეძლო არ მეთქუა ქება. «დავეშურე ცხენების გახედვნას, მალე დაგვჭირდებიან!» მი-

თხრა იმან, რა დამიპირდაპირდა. დღეს მეორედ ვნახამთ ერთმანერთს—დაუმატა იმან—გამოვცხადდები, რადგანაცა ვარ დაბარებული რჩევაში.

ა ლ ბ ა .

გნახამს კიდევ მეორეთ.

ფერდინანდი.

ყველა აქაურს ჩემს ნაცნობებზედ ის ყველაზედ მეტათ მამწონს, ვგრძნობ დავმეგობრდებით.

ა ლ ბ ა .

შენ ყველა შემთხვევაში ეგეთი გაუფთხილებელი და წინ დაუხედავი ხარ? ყოველთჳს შემინიშნავს შენში მსუბუქობა დედის-შენისა, რომელიც ისრე სრულებით მამენდო. შენ, გატაცებული გარეგანის ლაპლაპით, ერთხელ არ დაგიჭერია საშიშარი კავშირი.

ფერდინანდი.

მე ყოველთჳს ვყოფილვარ თქუ̂ჱნი ნების მორჩილი.

ა ლ ბ ა .

იმიტომაც დიდად არათ ვაგდებ შენს მსუმბუქს მი-ნდობილობას, შენს გაუფრთხილებელს განტაცებას და მივაწერ მხოლოდ შენს სიახალგაზდეს. ეცადე არ და-ივიწყო, რა ღვაწლისათჳსა ვართ აქ გამოგზავნილნი და რა მონაწილეობის მოცემა მსურს შენთჳს.

ფერდინანდი.

მამავონეთ ხოლმე და ნუ დამზოგავთ, როდესაც სე-დამდეთ საჭიროთ.

ალბა (ერთი მინუტის სიჩუმის შემდეგ)
შჳლო ჩემო!

ფერდინანდი.

მამავ!

თავადები მალე შემოვლენ აქა—ორანელი და ეგმო-ნტი. განაკი იმიტომ არ გეუბნებოდი აქნობამდინ იმას, რაც უნდა მოხდეს, რომ არ გენდობოდი; არა. ისინი აქედგან ველარ გავლენ.

ფერდინანდი.

რა განზრახვა გაქუს?

ალბა.

გადაწყვეტილია იმათი დაჭერა. გიკვირს? გამიგონე რაშია შენი თანამდებობა; მიზეზს გაიგებ მერე, როცა ყველა მორჩება. ესლა დრო არ არის ახსნისა. მხოლოდ შენთჳს მინდოდა მომენდო ეს უდიდესი საიდუმლო; ჩუჱნ დაგვაკავშირებს უწმინდესი კავშირი; შენ ჩემთჳს ძვირფასი ხარ, მიყვარხარ და მინდა შენ დაგადო ყოველივე სიმძიმე ამ საქმისა თავზედ; არა მარტო მინდა შეგაჩვიო მორჩილებას, არამედ მსურს გავხსნა შენში ნიჭი მოსაზრისა, ბრძანებლობისა და ყველა საქმის სასურვილო ბოლომდინ მიყვანისა. გინარჩუნებ რა დიდს სამკვიდრებელს, მე მსურს შენში გაუშვა კოროოლისათჳს ღირსეული მოსამსახურე, რომ შეგეძლოს შემდეგს, გაუწითლებლად, შენ მეორე ძმებთან ერთ რიგზედ დგომა.

ფერდინანდი.

როგორი მადლობა უნდა გითხრათ შენის მარტო ჩემზედ მონიჭებულის სიყუარულისათჳს, როდესაც მთელი საკოროლო შენ წინ ძრწის?

## ა ლ ბ ა.

ახლა გამიგონე როგორ უნდა მოიქცე. როგორცკე თავადები შემოვლენ თუ არა აქ, მაშინვე ყველა გასავალს გზებს შეჰკრამენ სალდათები. გომეცმა მიიღო ამაზედ ბმანება; სილვა დაატუსაღებს ეგმონტის სეკრეტარს და სხჳა შენიშნულთ პირთ. ყველა სასახლის ყარაულების ბინაები არიან შენს ზედამხედველობასა ქჳეშ. გთხოვ შენ რომ ამ ზალას წინა-პირველად შემოარტყა სრულებით სანდონი მცველები და მერე დარჩე გალერეიაში და მოუცადო სილვას მობრუნებას. მაშინ შემოხვალ აქ და მამცემ უბრალო ქაღალდის ნაჭერს—ნიშნად იმისა, რომ სილვას ყველა მიცემული განკარგულებაები, შეუსრულებია. ამას შემდეგ დარჩები ავან სცენაზედ ორანელის გასვლამდინ და იმას თან გაჰყვები; ეგმონტს აქ დავიჭერ იმ მიზეზით, რომ ვითომ მსურს იმასთან კიდე ცოტა რამეზედ მოლაპარაკება. გალერეის ბოლოს უბრძანებ ორანელს ხმლის მოცემას, დაუძახებ მცველებს და რასაც შეიძლებ მალე დაატუსაღებ ამ საშიშს კაცს; მეც აქ გამოვართმევ ხმალს ეგმონტს.

## ფერდინანდი.

პირველად გმორჩილობ თქჳენ, მამავ, გულის შეტკენით და შეწუხებით.

ალბა.

მიპატიებია შენთჳს. ეს იქნება პირველი, შენს სიცოცხლეში, უდიდესი დღე.

სილვა (შემოდის).

გაგზავნილი(ПОСЛАННЫЙ) მოვიდა ანტვერპენიდგან. აი წიგნი ორანელისა! არ მოვა.

ალბა.

ეგ გაგზავნილმა გითხრა?

სილვა.

არა, გული მეუბნება.

ალბა.

შენში ლაპარაკობს ჩემი ბოროტი გენიოსი. (წიგნის წაკითხვის შემდეგ, ანიშნებს რომ ორთავენი გავიდნენ გალერეიაში; დარჩება მარტო ავან სცენაზედ). არ მოდის! უცდის უკანასკნელს მინუტს, რომ ხალხი ააყენოს. გაბედა არ გამოცხადდება! ამ შემთხვევაში, ამასაც ვერ მოვიფიქრებდი, ჭკჳიანი კაცი უნდა ყოფილიყო საკმაო

ჭკჳანი, რომ არ გამოეჩინა თავისი ჭკჳა. მოახლოვდა საათი! კიდევ ცოტათი გადიწევს საწვრის ისარი—დ~ უპირატესი საქმე შესრულდება ანუ დაიკარგება, დაიკარგება საუკუნოდ; რადგანაც არ შეიძლება ამისი არც გადადება, არც საიდუმლოდ შენახვა. დიდხანს ვწონავდი გონებაში დ~, წინათვე ვხედამდი რა ამ შემთხვევას, მაშინვე ვჭრიდი, როგორ მოვიქცევი, დ~ ეხლა კი, როდესაც მოვიდა დრო მოქმედებისა, უნებლიეთ ვიწყობ კიდევ რყევას—როგორ მოვიქცე. კარგი იქნება დაჭერა ერთისა, როდესაც მეორე წავა? თუ რომ არ დავეჩქარო, ეგმონტს დ~ ყველა იმის ერთგულს შეუძლიან აქედგან თავის დახწევა, როდესაც ისინი, ვინიცის, დღეს, უკანასკნელად არიან ჩემს ხელში. ხომ ბოლოს სხვე არა გვმუსრამს შენ, შეუმუსვრალო? რა ხანი ვფიქრობდი! რა სამზადისი მქონდა! რა უდიდესი, როგორი მშჳ̂ენიერი იყო პლანი! როგორ ახლო იყო იმედი იმისის არსებად მოყვანისა! დ~ ეხლა ერთი თჳ̂ალის დახამხამებაში გადაჭრილმა დაგსვა ორთა წყალთ შუა; როგორათაც ბედის კოლოფისაგან, ისე იღებს ბნელის მოსავლისაგან გაუშლელს მხვედრს, არ იცი რა გამოვა—მოგება თუ წაგება! (შეიქნება ყურად-მღებელი, თითქოს ყუ^რს უგდებს რასმესო დ~ მერე მივა ფანჯარასთან). ის არის! ეგმონტი! როგორ მსუმბუქათ შამოგაფრინა შენმა ცხენმა აქ! არ შეფთხა არც სისხლის სუნისაგან, არც ტიტველა მახვილებისაგან, რომელნიც დახვდნენ კარებში! გადმოხტი! აგერ ერთი ფეხი ჩაყო საფლავში,

აგერ მეორეც! მადლობა უთხარ შენს ცხენს უკანასკნელის ერთგულის სამსახურისათჳს! დაიურვე, კელი უსვი კისერზედ! ჩემთჳს აღარ არის რჩევა. ის თჳალების ახვევა, რომელმაც მოიყვანა ეგმონტი აქა, აღარ მობრუნდება მეორედ. თქჳენკი (ფერდინანდ დ სილვა შემოდიანსიჩქარით). მოიქეცით ისე, როგორც გიბრძანეთ, მე არაფერს არ შევცვლი! მე დავიჭერ აქ ეგმონტს მინამ არ შემატყობინებ ამბავს სილვისას. მერე დარჩი შორი ახლოს ჩჳენისა, მეწყინა, რომ ბედმა არ მოგცა შემთხვევა დაგემტკიცებინა უდიდესი ეროგული სამსახური კოროლისათჳს—შენისვე კელით დაჭერით იმისის საშინელის მტერისა (სილვას) ესწრაფე! (ფერდინანდს) წადი მიეგებე! (რაოდენსამე ხანს ალბა დარჩება მარტო, ბოლთასა სცემს ჩუმათ. ეგმონტი შემოდის).

ეგმონტი.

მე მოვსულვარ შესატყობლად კოროლის ბრძანებისა!—მსურსვიცოდე რა სამსახურს ითხოვს ჩჳენის იმისი შეურყეველის ერთგულობისათჳს?

ალბა.

იმას წინა-პირველად სურს შეიტყოს თქჳენი ჰაზრი.

ეგმონტი.

რა საგანზედ? მე მეგონა ის აქ დამხვდებოდა.

ალბა.

მალიან ვწუხ, რომ ამისთანა საჭიროს მინუტს ის აქ არ არის. თქჳჱნს ჰაზრს, თქჳჱნს რჩევას ითხოვს კოროლი—რითი უნდა დავამშჳდოთ შტატები. დიახ, ის იმედეულობს რომ თქჳჱნ მალოვანს თანა-შემწეობას მისცემთ დასამშჳდებლათ და სრულებითის და ხანგრძლივის რიგის ჩამოსაგდებლად პროვინციებში.

ეგმონტი.

თქჳჱნ ჩემზედ უკეთესად იცით, რომ დიდი ხანია ყველა საკმაო მშჳდობიანათ არის; დიახ უფრო უმეტესი მშჳდობიანობა იქნებოდა, თუ რომ ახლად მოსულთ სოლდათებს ასე საშინლად არ შეეშინებინათ ხალხი.

ალბა

თქჳჱნ, მგონია, გსურთ მაგითი შემატყობინოთ, რომ უმჯობესი იქნებოდა კოროლს არ მიეცა ის განკარგულაბაები, რომელთაც მამიყვანეს მე აქ თქჳჱნის ჰაზრის შესატყობლად.

## ეგმონტი.

უკაცრავოთ! ჩუენი საქმე არ არის გასჯა იმაზედ, რა მეტს სარგებლობას მოუტანდა ჩუენს მხარეს: მოსვლა აქ მათი დიდებულებისა, თუ ჯარის გამოგზავნა; კოროლი აქ არ არის, მაგრამ ჯარი კი აქ არის. მაგრამ ჩუენ ჩავვაგდებდნენ გულმავიწყრად უმადურად, რომ ხმა არ ამოვველოთ იმაზედ, რისაც ვალდებულნი ვართ ჩუენ მმართებელასი. უნდა მოვახსენოთ, რომ იმან თავისებურის კეთილ-გონივრობით და შეურყევლობით, ეკიდებოდა რა ხალხს ხან სიმკაცრეობით, ხან დაყოლიებით, შეიძლო ყველას გასაოცრად, რამოდენსამე თვის განმავლობაში, დამშვიდდება აღრეულის ხალხისა.

## ალბა.

მე მაგას უარს არა ვჰყოფ. აღრეულობა დამშჯდებულია, ყველა დგას თავის ჯეროვანს წრეში; მაგრამ განა იმათ ნებაზე არ არის დამოკიდებული წრეს იქით გადასვლა? რას შეუძლიან დაბრკოლების მიცემა იმ წრეზედ ხალხის გარდაბიჯებას? სად არის ის მალა, რომელსაც შეეძლოს შეკავება? რა არის თავდები მათის ერთგულობისა და ქუეშევრდომობისა? თავდები — მხოლოდ იმათი კეთილი ნება.

ვმონტი.

და კეთილ-ნება ყველაზედ უმეტესი და სანდო თავდები არ არის? ღმერთო ჩემო! კოროლის ჴელმწიფება მაშინ არ არის უმეტესი მაგარი, როდესაც თჳთეული სცხოვრობს ყველასათჳს და ყველა თჳთეულისათჳს? მაგრამ, როგორათაც შინაურის ეგრეთვე გარეგანის მტრისათჳს?

ალბა.

რაც უნდა იყვეს, მაინც ვერ დაგვარწმუნებთ, რომ, როგორც სთქვთ, მაგ გვარს მდგომიარეობაში იყოს აქ ხალხი.

ეგმონტი.

დაე კოროლმა გამოაცხადოს საზოგადო ამინისტია, დაამშვიდოს გონებანი და მალე ნახამთ, რომ სიყუარული და ერთგულობა ახლად მოუბრუნდებიან.

ალბა.

და ისინიც, რომელნიც კოროლის დიდებულებას, უწმინდესს რჯულს ლანძღავდნენ, ადრინდელსავით დაიწყებენ სეირს თავისუფლად? დაუსჯელად გაშვება მაგისთანა საშინელის დანაშაულებაებისა გახდება საშიშ მაგალითად მეორეებისათჳსა.

## ეგმონტი.

დანაშაულნი, რომელნიც მოუქმედებიათ უგონოებით ანუ სიმთვრალეში უფრო მალე მისატევებელნი არიან, ვიდრე სასტიკად დასჯ̂ი,— უმეტესად როდესაც არის იმედი, დ̃ დაარწმუნებაცკი, რომ ბოროტება მეორედ აღარ მობრუნდება. განა კოროლები თავიანთის მოწყალეობით არა ხდიან უმეტესს მადლოვნათ თავიანთს ქვეშევრდომთ? განა არ იდიდებიან იმათთაგანი, რომელთაც სცოდნიათ მიტევება, შეურაცხ-ყოფა შეწუხებაებისა, რომელნიც მიუყენებიათ იმათი ხარისხისათჳს? არ ემზგავსებიან ამითი ისინი ღმერთსა, რომელიც ისე მაღლა სდგას, რომ ჩუ̂ენი გმობა არ მიდის იქამდის?

## ალბა.

კიდეც მაგისათჳს სძევს კოროლს ვალი დაიფაროს ყველა რაც შეეხება რჯულს დ̃ ღუ̂თაებას, ისე როგორათაც ჩუ̂ენი ვალდებულებაა—დაფარვა კოროლის დიდებულებისა, სადაც უმაღლესს უფლებას არ შეუძლიან ჩამოსვლა იქ ჩუ̂ენ უნდა გავიმაგროთ, ჩემის ჰაზრით ყველა დამნაშავენი უნდა დაისაჯნენ.

## ეგმონტი.

ნუ თუ ჰფიქრობთ, რომ შეიძლებთ ყველა დამნაშა-

ვეს გამოჩენას? ყოველ დღე არ გვესმის, როგორც დასაჯვის შიში მალას ატანს ხალხს ერთის ალაგითგან მეორეზედ გადასვლისას და ბოლოს საკოროლოთგან გარდასახლებისას! მდიდარნი წაიღებენ თან ქონებას, წაასხამენ შჳლებს და მეგობრებს, და ღარიბნი თავიანთს შრომის მოყვარე ჴელებს მიჰყიდიან ახლო მდებარე საჴელმწიფოს.

## ალბა.

მაშინ როდესაც არ დაუშლიან გადასახლებას. მაგისათჳსაც ითხოვს კოროლი ყველა თავადისაგან, გრაფისაგან და შტატგალტერისაგან სრულიადს შემწეობას, როგორათაც რჩევით, ეგრეთვე საქმით, და არა ცარიელს ლაპარაკს იმაზედ, როგორ იქნეოდა, ანუ რა გამოვიდოდა, რომ ყველა ისე გაეშვათ წასულიყო, როგორც მიდიოდა. ხედამდე თჳალ-წინ საშინელს ბოროტებას, პირ-მოთნეობდე შენს თავს იმედებით, დროს ატრევდე, ხანდის-ხანაც ებრძოდე ბოროტებას ისე თითქოს დაკვრიანას ეთამაშებაო, ტყუილად ტკაცა-ტკუც უყენებდე და ჩვენება გსურდეს რომ რაღასაც აკეთებ, როდესაც ვერაფრის გაკეთებას ვერ შეიძლებდი,—სუ ყველა ამას, ერთად აღებულს, არ შეუძლიან აფიქროს, რომ აღრეულობას უცქერიან სიამოვნებით და თუმცა კი არ უკეთებენ, მაინც კი მზათ არიან განაგრძელონ?

ეგმონტი (მზათ არის აიფეთქოს, თავ დაიჭერს და ლაპარაკს, ცოტა სიჩუმის შემდეგ, აგრძელებს).

ყველა განზრახვანი არ არიან ცხადნი, განზრახვათ რომელიმე კაცისას ხსნიან ცუდად. შესაძლებელია ვერ-წმუნოთ იმას, რასაც ყოველის მხრით ვიგონებთ: ვი-თომც განძრახვანი კოროლისა იყოს არა იმტელი იმ-აში, რომ ხალხზედ ერთ-ნაირის ცხადის კანონებით იუფლოს, დაიცვას დიდება რელიგიისა, ჩამოაგდოს სა-ყოველთაგო მშჳდობიანობა ხალხში, როგორითაც უმე-ტესად იმაში, რომ ხალხი უსაცილოდ დაამონაოს, იმათი ძველი უფლებანი მოშალოს, გახდეს პატრონი (ბატონი) იმათი სარჩო საზღოებისა, წაართვას კეთილ-შობილთ საუკეთესო პრივილეგიები, მხოლოდ რომლე-ბისათჳსაც ისინი ემსახურებიან და რომლებისათჳსაც ისინი სწირავენ ჴსხვერპლად თავიანთს სიცოცხლეს.

ალბა.

ეგენი შენგან უნდა გავიგონო?

ეგმონტი.

ეს ჩემი ჴაზრი არ არის! მაგ სიტყვებს გავიგონებ ყველგან, დიდებისაგან და პატარებისაგან, ჭკუიანებისაგან და ბრიყვებისაგან. ნიდერლანდელები შიშობენ მეორეს

უღლის დადგმისას; სად არის თავდები დამცველი იმათის თავის უფლებისა?

## ა ლ ბ ა .

თავის უფლებისა! კარგი სიტყუა როდესაც სწორეთ ესმით ამისი მნიშვნელობა. რა ნაირი თავისუფლება სურთ იმათ? რაში სდგას უდიდესი თავისუფლება? კანონიერ მოქმედებაში! კოროლი ამისი წინაღმდეგი არ გახდება. არა! არა! ისინი ფიქრობენ, რომ თავის-უფალნი არ არიან, რადგანაც არ შეუძლიანთ ვნება არც თავიანთის თავისა და არც სხუჱბისა. უმჯობესი არ იქნება ჴელის აღება უფლებითგან, ვიდრე მფლობელობა მაგისთანა ხალხზედ? იმ შემთხვევაში როდესაც გარედგან დაგვესხმის მტერი, რომელზედაც არცკი ფიქრობს ხალხი, რომელნიც მარტო ერთმანერთის საქმეებში არი გართული, ამდროს როდესაც კოროლი საჭიროობს იმათ დახმარებაში, ისინი ერთმანერთთან ჩხუბობენ და გადარბიან მტრის მხარეს. ხალხს უნდა შეუხვიო ჴელები ისე როგორც ყმარწვილს და როგორც ყმარწვილს ისე უნდა მისცე იმას ის მიმართულება, რომელსაც დაინახამ იმათთჳს სასარგებლოდ. მერწმუნე ხალხი არასდროს არ ბერდება, არას დროს არ შედის სრულს გონებაში. ხალხი საუკუნოდ რჩება ყმარწჳლად.

## ეგმონტი.

მალიან იშვიათად ჭეშმარიტების ღირსი ხდებიან ზოგი ერთნი და ამისათჳსაც უფრო ადვილი არ არის ერგოს მეტი ნაწილი მეტს ნაწილს, ვიდრე ერთ პირს? და არათუ მარტო ერთს, არამედ იმ ცოტათაც ერთისას, იმ ხალხს, რომელნიც თავიანთის უფლის თვალწინ აღზრდილან და იმის სამსახურში დაბერებულან. რასაკჳრველია რომელ, უკანასკნელნი სრულს გონებაში იქნებიან შესულნი?

## ალბა.

შეიძლება იმიტომ, რომ ესენი მარტო თავიანთს გონებას არ ენდობიან.

## ეგმონტი,

მაგიტომაც კიდეც არავისა სურს მიანდოს თავის თავი იმათ გონებას. დაე რაც იქნება, იქნება — მე მოგეცით პასუხი თქუენ კითხუაზედ, და კიდევ გიმეორებ: აგრე არ უნდა ჰქნან! ესე დიდხანს ვერ გასტანს! მე ვიცნობ ჩემს მოქალაქეთ, ისინი ყველანი კაცები არიან და შეუძლიანთ თავიანთის ფეხებით ღუთისგან განჩენილს დედამიწის ზურგზედ სიარული. ყველა იმათგანი თავის თავის ბატონია; ყველა თავის სახლში პაწაწკინა

კოროლია; ყველანი მხნენი არიან, ნიჭიერნი, უცვლელნი და მტკიცენი ძუელის ჩუეულებაებისა. ძნელია იმათ მინდობილების ღირსის გახდომა; მაგრამ თუ ერთხელ გახდი, ადვილია იმისი დაცვა. შეუპოვარნი და მაგარნი არიან! იმათი დაპყრობა შეიძლება და არა იმათი შეწუხება.

ა ლ ბ ა (რამოდენჯერმე გარეშემოს გარდაავლებს თუალს).

გაბედავ შენ მაგ სიტყუების გამოთქმას კოროლის-წინ?

ე გ მ ო ნ ტ ი.

ცუდი იქნებოდა რომ კოროლის თანა დასწრებას შესძლებოდა ჩემი შეკრთომა. უკეთესი იქნებოდა იმისათჳსაც და იმის ქუეშევრდომთათჳსაც, რომ მოეცა ჩემთჳს გამბედაობა და ეგრძნობინებინა ჩემთჳს თავის მონდობილება, რომ გამამეთქუა ამაზედ უმეტესი.

ა ლ ბ ა.

რაც სასარგებლო იქნება, მეც ისე ყურს უგდებ, როგორათაც ის.

ე გ მ ო ნ ტ ი.

მე ვეტყოდი იმას: ძნელი არ არის მწყემსისათჳს

გარეკა ცხვრებისა, კარი მორჩილებით ეწევა გუთანს; მაგრამ თუ გსურს კეთილშობილის ცხენის გასხედნა, წინა პირველად უნდა შეიტყო იმისი თჳსებაები, უნდა მოექცე ფრთხილად და უნდა ითხოვდე იმისაგან მარტო ჭკჳაზედ ახლოს, გონებიანს, იმიტომა ჰსურს მოქალაქეს თავის მჳწლის დაწესებაების დაცვა, ყოფნა მმართებლობასა ქვეშ თავისის მემამულესი, რომ ამან იცის როგორ წაიყვანოს ის, რომ ამაში ხედამს უანგაროებას და ელის ამისაგან მონაწილეობის მიღებას თავისს სვედრში.

### ალბა.

მაშ შენის ჰაზრით მმართებლობას არა აქჳს უფლება ძველის შეცვლისა? ნუ თუ ისე არ არის იმისი საუკეთესო, თავოსანესი უფლება? განა ამ სოფელში უცვლელი რჩება რამე? და უმეტესად, შესაძლებელია, რომ მხარის დაწესებანი დარჩნენ შეუცვლელნი? დროს განმავლობაში ყოველივე შესახვედრაობანი არ იცვლებიან? და ამისათჳსაც ძველი წესდებულებაები არა ხდებიან მიზეზათ ბოროტებაებისა და უსარგებლოდ ხალხის ახალის მოთხოვნილებაებისა? მე ვიჯჳნეულობ—იმათთჳს ხომ არ არიან ეს მჳწლი უფლებანი ესე საყვარელნი, რომ მსახურებენ თავის შესაფარებელ ალაგად, სადაც ზედ მომქმედ მცბიერს შეუძლიან დამალვა და იქიდგან გამომრომა სავნებელად ხალხისა, სავნებალად საზოგადოების.

### ეგმონტი.

და ის თავის ნებითი ცვალებანი, ის სამძღვარ დაუ-დებელი დავლაები მაღალის მთავრობისა, განა არ აჩვენებენ ცხადათ, რომ აქ ერთსა სურს მოიქმედოს ისა, რისაც წინაღმდეგნი არიან ათასნი? იმას მარტო სურს თავისი უ̂ფლება გულ-სავსე ჰყოს საწინდარი, დაიკმაყოფილოს ყველა თავისი სურვილი, მოიყვანოს აღსრულებაში ყველა თავისი განზრახვანი. რომ კიდეც მორჩილად დავკმაყოფილდეთ, ერთგულად მივეცნეთ ჩუ̂ჱნს მეცნიერს კოროლს შეუძლიან იმას სიტყუ̂ა მოგუ̂ცეს, რომ იმისი მემკვიდრენიც კეთილად მოგვექცევიან? რომ არც ერთი იმათგანი უყურადღებოთ, უშეუბრალებლად არ იუფლებს ჩუ̂ჱნზედა? ვინ დაგვიხსნის ჩუ̂ჱნ იმ სრულიადი ნებაყოფლობისაგან, როდესაც იმის გამოგზავნილნი, მახლობელნი მსახურნი, დარწმუნებულნი პასუხის მიუცებლობაში, უცოდინრობისა გამო მხარისა და ხალხის მოთხოვნილებაებისა, დაიწყობენ თავიანთს ქეიფთ-მოქმედებასა?

ალბა (მეორედ გარდაავლებს თუ̂ალს გარეშემოს).

მალიან ბუნებითია, რომ კოროლი, ისურვებს რა დამოუკიდებლად მეფობას, ირჩევს შესასრულებლად თავისის სურვილისა იმათ, რომელთაც ესმით უკეთესად იმათზედ, რომელთაც სურთ გაიგონ და ბოლოს, იმათ

რომელნიც იმის ნებას უსაცილოდ ემორჩილებიან.

ეგმონტი.

ეგრეთვე სწორეთ ბუნებითია, რომ მოქალაქეთ სურთ თავის მმართებელში ჰოვნა იმ კაცისა, რომელიც დაიბადა და აღიზარდა იმათთან, რომელსაც სწორე და მრუდე ესმის იმათებურად, რომელშიაც ისინი ხედამენ თავიანთს ძმას.

ალბა.

თუმც კეთილშობილნი ძალიან ძმურად არ მოექცნენ იმათ გაყოფის დროს.

ეგმონტი.

ეგ მოხდა რამდენიმე საუკუნოს წინად და ეხლა არავინ არ უმაღლებს იმათ; მაგრამ როდესაც იქნებიან გამოგზავნილნი ახალნი პირნი, რომელთშიაც არა საჭიროობენ, როდესაც ხალხი ნახამს იმათ კადნიერს გაუმაძღრობას,—მაშინ ეს მოახდენს ხალხში აღრეულობას, რომელიც საეჭვოა რომ თავის თავად დაწყნარდეს.

ა ლ ბ ა .

შენ მეუბნები იმას, რაც არ უნდა გამეგო. მეც თითონ გარეშე მხრისა ვარ.

ე გ მ ო ნ ტ ი .

თუ რომ ამას შენ გეუბნები, ესვე თითონ ამტკიცებს, რომ ჩემი სიტყუები შენ არ შეგეხებიან.

ა ლ ბ ა .

ეგრეა თუ არა—არ ვიცი, მაგრამ არა მსურდა ეგენი შენგან გამეგონა. კოროლმა გამამგზავნა აქ დარწმუნებული, რომ აქ კეთილშობილთ ვნახამ შემწედ. ნება კოროლისა არის იმისი ნება. კოროლმა ღრმად მოიფიქრა, რა არის ხალხისათჳს საჭირო; იმ მდგმომიარებაში ვერ დარჩებიან საქმეები, რომელშიაც ყოფილან აქნობამდინ. კოროლს სურს მოიყვანოს კეთილ-მდგმოიარეობაში ხალხი და თუ მოითხოვს, მოიყვანს, თუნდ რომ წინაღმდეგიც იყოს ხალხისა და შესწირავს მავნებელთ მოქალაქეთ მსხვერპლად, რომ დანარჩენნი იყვნენ დამშჳდებულნი და შეემლოთ სარგებლობა იმის მეცნიერულის მფლობელობისა. ეს არის კოროლის ნება! მე მონდობილი მაქუს გამოუცხადო კეთილშობილთ ესა და ვითხოვო კოროლის სახელით რჩევა მხოლოდ იმაზედ,

როგორ უნდა ეს შევასრულო დ არა ისა, რა უნდა გავაკეთო; ეს უკანასკნელი გადაჭრილია კოროლისაგან.

ეგმონტი.

გულის შეტკენით ვხედამ რომ შენი სიტყუჲნი ამართლებენ ხალხის შიშს. კოროლი ჴელს ახლებს იმას, რასაც არ უნდა შეეხოს არც ერთი მეფე. იმასა სურს დაადუნოს, დაამხოს დ გაუწყვიტოს ხალხს ღონე, იმისი თავის თავის პატივის მცემლობა, ჴარმაგ-სულობა, რომ შეეძლოს მარჯვედ უფლება მათზედ. იმასა სურს აღმოფხვრა მირით იმათის თჳთმყოფობისა (**само-бытность**), ის სწუვეტამს იმათ, რომ შესცვალოს ისინი, გარდააქციოს სასკებათა. ოხ! თუ რომ იმისი განზრახვა—იმათთჳს ამითი კეთილის მიცემაა—მალიან შემცდარია! არავინ არის წინაღმდეგი კოროლისა, მაგრამ აქ არ ეთანახმავებიან მხოლოდ იმისათჳს, რომ სურთ გააფრთხილონ კოროლი პირველის უბედურის ნაბიჯის, ბრუდე გზაზედ, გადადგმისაგან.

ალბა.

უსარგებლოა შენთან რჩევის დაჭერა იმ ჭკაზრების შემდეგ რომელნიც გამოსთქვთ. შენ უპატიურათა სჯი კოროლზედ დ სამრახისად იმის მრჩევლებზედ, რადგანაც ჰფიქრობ, რომ ყველა ეს კმაყოფილად არ არის

ნაფიქრი, გამომიებული და აწონილი. ჩემთჳს არ მოუციათ ბრძანება კელახლად გადავსაჯო ყველა. ხალხისაგან ვითხოვ მორჩილებას, თქჳენგან, წარმომადგინებელთაგან კეთილშობილთა, რომლებზედაც, როგორათაც პირველთ მოქალაქეებზედ, სძევს უწმინდესსი ვალდებულება,—რჩევას და თანა შეწეობას.

ეგმონტი.

მაშ რადგანაც ეგრეა ერთჯერობაზედვე მორჩი, მოითხოვე ჩჳენი თავები! კეთილშობილისათჳს სულ ერთია, დაიდვას უღელი კისერზედ, თუ მიუშვიროს მოსაჭრელად. არა გამოვიდარა ჩემი სიტყვებისაგან, ტყჳილად ბევრი ვილაპარაკე: ჯაერი შევანძრიე და ვერა გავიტანერა.

(შემოდის ფერდინანდი.)

ფერდინანდი.

მომიტევეთ რომ გაგაწყვეტინეთ რჩევა. აი წიგნი, გამოგზავნილი უცდის პასუხს.

ალბა.

ცოტა ხანი დამაცადე წავიკითხო (მიდის იქით).

ფერდინანდი. (ეგმონტს).

რა მშჳჱნიერი ცხენი მოუყვანია თქჳჱნს მსახურს უკან წასასვლელად!

ეგმონტი.

არ არის ცუდთაგანი, მე დიდიხანია მყავს ეგა და მსურს როგორმე კელიდგან გავიცალო. თუ თქჳჱნ მოუწონთ, მოვრიგდებით,

ფერდინანდი.

კარგი, ვნახამთ.

(ალბა ანიშნებს შჳლს, ეს წავა სცენის სიშორეს (სიღრმავეს).

ეგმონტი.

მშჳდობით! მამეცით ნება წასვლისა. ღმერთს გეფიცები არა შემიძლიანრა მიუმატო ჩემს ნათქჳამს.

ალბა.

ბედნიერი ხარ რომ შემთხვევამ დაგიშალა უმეტესად გამოქლაპარება შენის თავისა. გაუფრთხილებლად გამო-

აცხადე შენ ყველა შენი გულის ჰასუხი. შენს უბოროტესს მტერს არ შეეძლო უმეტესად ვნება, როგორათაც შენ შენს თავს ავნებ.

ა ლ ბ ა.

ეგ საყვედური მე არ მაწუხებს, მე საკმაოდ ვიცნობ ჩემს თავს დ~ ვიცი ჩემი კოროლის ერთგულობა; მე უმეტესი ერთგული ვარ იმისი, რომელნიც მორჩილების სახით, ემსახურებიან მხოლოდ თავიანთს თავს, ვწუხ რომ ჩჳენის ბაასიდგან არა გამოვიდარა დ~ მსურს რომ ჩჳენმა სამსახურმა კოროლის წინ დ~ სურვილმა მხარისათჳს კეთილის მიცემისა დ~ შეიძლონ შეთანხმავება ჩჳენის ჰაზრებისა. მეორეს ნახვაზედ, თანა-შემწეობით სხჳათა თავთა, რომელნიც ეხლა აქ არიან, უმეტესს ბედნიერს სათზედ, შეიძლება სუ ყველა გეჩვენოთ სხჳა ნაირად, იმედეული ამისა მე გიახლებით.

ა ლ ბ ა (ანიშნებს შჳლს).

დადექ, ეგმონტო! შენი ხმალი!

(სიშორის სცენისა გაიღება კარები, გამოჩნდება გალერეია, სადაც შეურყეველად დგანან შეიარაღებულნი).

ეგმონტი (გაოცებული, ცოტა სიჩუმის შემდეგ).

ეგა გქონდა შენ გულში? მაგისათჳს დამიბარე? (გაიძრობს ხმალს) განა მე უიარაღო ვარ?

ალბა.

ბრძანებით კოროლისა გატუსაღებ მე შენ.
(ორთავ მხრით შემოდიან შეიარაღებულები).

ეგმონტი.

კოროლისა?—ორანელო! ორანელო! (ცოტა სიჩუმის შემდეგ აძლევს ხმალს) აჰა, წაიღე! ეს უმეტეს ხშირად გაძრობილა კოროლის სასარგებლოდ, ვიდრე დასაფარავად ამ გულისა.

გადის კარებში რომელიც შეიყვანს გალერეიაში, შეიარაღებულებთან გაჰყვებიან, ეგრეთვე ალბის შჳლი. რჩება ერთი ალბა. ფარდა ჩამოეშვება).

## მოქმედება მეხუთე.

### სცენა I.

ქუჩა. ბინდი.

კლარა, ბრაკენბურღი და მოქალაქენი.

ბრაკენბრღი.

ღვთის გულისათჳს, ჩემო კლარავ, რას აპირობ?

კლარა.

წავიდეთ, ბრაკენბურღო, როგორ ეხუმრები შენ სა-ლს! ჩუ̂ენ უთუოთ გავანთავისუფლებთ იმას, თუ არა და ეს სიყუ̂არული, რა სიყუ̂არულია? ვეფიცები ყველა იწვის სურვილით იმის უძვირფასესი სიცოცხლე გამო-ისხნას და მისცეს თავისუფლების მოყუარეს თავისუ-ფლება. წავიდეთ! მხოლოდ არ არის კაცი, რომელმაც შეჰყაროს ისინი.....ჯერ კიდევ სდგას ყველას სულში იმისი მადლობა! იმათ კარგათ იციან, რომ მხოლოდ იმის მაღლოვანს მკლავს შეუძლიან ჩუ̂ენი გამოსხნა უ-ბედურებისაგან. იმათ თავიანთის სარგებლობის გული-სათჳს უნდა გაბედონ ყველა. რასა ვკარგამთ? სიცო-ცხლე! განა ღირს ფიქრათ იმისი შენახვა, როდესაც ის აღარ იქნება?

ბრაკენბურღი.

უბედურო! შენ ვერ იცნობ იმ ბედის-წერის ძალას, რომელსაცა ვყევართ ჯაჭვით შეკრული.

კლარა.

მე იმ ჯაჭვს არა ვრაცხამ გაუწყვეტლად. ტყუილათ ნუ უხირდებით ერთმანერთს. მე ვხედამ აქეთ მოდიან მჭელნი, ჰატიოსანნი, გამბედავნი კაცები. გამიგონეთ მეგობარნო! მეზობლებო, გამიგონეთ. მითხარით რა შეემთხვა ეგმონტს?

დურგალი.

რა უნდა მაგ ქალს? დააჩუმე.

კლარა.

მამიახლოვდით, მოვილაპარაკოთ ჩუმათ; დავთანხმავდეთ და იმითი მივცეთ ძალა. ყოველივე წუთი ძვირფასია! კადნიერს მალადობას, რომელმაც გაბედა იმისი დაჭერა, უჭირავს იმის გულს წინ ხანჯალი დასაცემად. ო! მეგობარნო ჩემნო! რამტელიც აკლდება დღეს, იმტელი უმეტასად ვშიშობ იმისათჳს. მე მაშინებს მომავალი ღამე! წავიდეთ! გავიფანტოთ სახლებში და გამო-

უმასხოთ ყველა მოქალაქენი. დაე ყველა შეიარაღდეს! სავაჭრო მეიდანზედ კიდევ შევგროვდეთ და ვისუყვლოთ იქიდგან აღელვებულის მდინარეს მზგავსად და წამოვლეკოთ ყველანი თან. მტერი შუაში მოგდებული და შეუხებელი ვერ გაგვიმაგრდება. ან კი შესაძლებელია რომ ერთ მუჭა ქირით დაჭერილთ მონაებთ შეემლოთ ჩუენი გამაგრება? და ის კიდევ იქნება ჩუენ შუა, განთავისუფლებული ჩუენსგნით და თავისის რიგით მადლობას გადგვიხდის, ის, რომლისაც ჩუენ დიდათვალდებულნი ვართ. იმან იქნება ნახოს!.....არა! მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დილის ცისკარს ნახამს კარზედ, ცის ქვეშ.

### დ უ რ გ ა ლ ი.

რა გსურს ქალო?

### კ ლ ა რ ა.

ნუ თუ არ გესმით? ნე ვლაპარაკობ გრიფზედ! გრაფ-ეგმონტზედ!

### ი ე ტ ე რ ი.

ნუ ახსენებ მაგ სახელს! ეგ სახელი მომაკვდინებელია.

კლარა.

ნუ ვახსენებ ამ სახელს? როგორ? იმის სახელი? განა ყველას ენაზედ არ ადგია ეს სახელი? სად არარის დაწერილი ეს სახელი? ხშირად წამიკითხამს ეს სახელი ცაზედ ვარსკვლავების ასოებით დაწერილი. ნუ ვახსენებ? ეგ რაღაა? მეგობარნო ჩემნო! კეთილნო ძვირფასნო მეზობლებო, ძილში ნუ როტამთ—გამოიღვიძეთ! ნუ მიცქერით აგრე დაბჟირებით, აგრე მიუნდობლათ! ნუ იყურებით აქეთ იქით აგრე მოუსვენარად! ყველას თქჳ̂ენგანს გულში სურს ისა, რასაც მე მაღლა ხმით ვაცხადებ! ხმა ჩემი არ არის თქჳ̂ენი გულის ხმა? რომელი თქჳ̂ენგანი ამ საშინელს ღამეს, დაწოლის წინათ არ დაიჩოქებს და არ შეევედრება ცხარის ლოცვით უფალს, რომ ის გაანთავისუფლოს? ჰკითხეთ ერთმანერთს! ჰკითხეთ თქჳ̂ენ თქჳ̂ენ თავს! რომელი არ გაიმეორებს ჩემს შემდეგ: ანუ თავისუფლება ეგმონტისა, ანუ სიკჳ̂დილი!

იეტერი.

ღმერთო დაგვიფარე! უბედურობას შეგვამთხვევს რასმეს ეს გოგო.

## კ ლ ა რ ა.

ნუ მიდიხართ! დადექით! განა შესაძლებელია რომ იმ სახელს, რომელიც ისე მხიარულად აგროვებდა ხალხს, შეეძლოს ეხლა ესე შეშინება? იყო ხოლმე, მოვიდოდა თუ არა ამბავი: ეგმონტი დაბრუნებულა, ეგმონტი მოდის გენტიდგან—ერთ წუთში ის ქუჩები, რომლებშიაც უნდა გამოევლო იმას, მოირთობოდნენ ხოლმე მისაგებებლად. როგორცვე შემოისმოდა თუ არა იმის ცხენის ფეხის ხმა, მაშინვე სუყველანი აგდებდნენ ჴელიდგან საქმეს, მირბოდნენ ფანჯარასთან დ დაღვრემილნი სახენი უცებ იწყობდნენ სიხარულით ლაპლაპს, მაშინ იყვანდით ხოლმე თქუენს შჳლებს ჴელში დ თქუენის კარებების ზღრუბლებიდგან აჩუენებდით დ უბნებოდით იმათ: «უყურე, უყურე, აგერა ეგმონტი, დიდი ეგმონტი! აგერა!ის, რომელიც მოგიმზადებთ თქუენ უკეთეს იმისა მხვედრს, რომელიც შეხვდათ თქუენს მამებს» გეშინოდეთ! შჳლებთ შეუძლიანთ გკითხონ: რა მოუვიდა ეგმონტს? სად არის ის დრო, რომელსაც გვპირდებოდით?.....ნუ ვკარგავთ დროს ცარიელის სიტყვებით! ჩუენის მოუქმედრობით ვღალატობთ იმას.

## ს ო ე ს ტ ი.

სირცხვილი არ არის შენთჳს ბრაკენბურღო? ვერ დაუშლი, ხომ დაიღუპა?

### ბრაკენბურღი.

ჩემო კლარავ! წავიდეთ, რას იტყვის დედა? იქნება....

### კლარა.

ყმარწჳლად ხომ არ მაგდებ, ანუ გიჟათ? რა გინდა გეთქჳა მაგ შენის: იქნება? ხომ არ გინდა ტყუილის იმედ'ით გამამიყვანო შემარყეველის შეგნებისაგან? ყური უნდა მიგდონ იმათ! თქჳენი, თქჳენ, გამიგონეთ! შიშმა გაგაშეშათ. როგორც ვხედავ, და ვერ შეგიძლიანთ გული გაიმაგროთ. აწინდელ საშიშროებასა შუა გასცქირეთ წარსულს, ცოტა ხნის წარსულს, მერე ჰაზრით გადა-დით მომავალზედ და იფიქრეთ, რა იქნება თქჳენი სი-ცოცხლე, როდესაც ის აღარ იქნება? უკანასკნელს იმის ამოსუნთქვას გაჰყვება თან თქჳენი თავისუფლება. რა იყო თქჳენთჳს ისა? ვისთჳს თავის სიცოცხლეს არ ზოგავდა და უდებდა საშიშროებას ჭირ-დაჭირ? სისხლი იმის დაჭრილე'ისაგან სწვეთდა თქჳენთჳს. ის უდიდესი ვაჟკაცი, რომელსაც თქჳენ ყველანი ჰყვანდით გულში, ზის საპყრობილეში და იძულებითი სიკჳდილის შიშის ზარი დასტრიალებს მას თავზედ. იქნება ის ფიქრობს თქჳენზედ, იმედეულობს თქჳენზედ,—ის, რომელიც შეჩვეულია მარტოკა მსხვერპლად თავის თავის შეწი-რვისა და მოქმედებისა.

## დურგალი,

ნათლიავ წავიდეთ.

## კლარა.

მე არ მაქვს არცა მალოვანი კელები, არც მაგარი მკალ-ტყავი როგორათაც თქჳენ; მაგრამ მაქჳს ისა, რაც გაკლიათ თქჳენ—ვაჟკაცობა და შეურაცხყოფა შიშისა. ოხ! თუ შემეძლოს ჩემის სულის ჩადგმა თქჳენში! ოხ! თუ შემეძლოს გულზედ მიკვრით თქჳენი ანთება და განგულოვნება! წავიდეთ! მე მსურს თქჳენ შუა დგომა! როგორათაც საომარს ბაირაღს გაფრიალებულს მეომართზედ მიჰყავს ესენი ღვაწლზედ, ეგრეთვე აღნთებული სული ჩემი გაფრიალებული თქჳენზედ და სიყვარული და ჭარმაგ-სულობა ჩემი შეაერთებს მშიშართ საბრალო ხალხის ხროვებს და გარდააქცევს მათ ძლევა-შემოსილთ ჯარად.

## ეგმონტი.

წაიყვა იქით! შებრალება.

(მოქალაქენი გადიან).

## ბრაკენბურღი.

კლარავ! აბა შახედე სადა ვართ?

## კლარა.

სადა ვართ? ცის ქვეშ, რომელიც ხშირად, როგორც მეჩვენებოდა, ჩამოშვებული ყოფილა უფრო მშუენიერად, როდესაც ის გამოდიოდა ამის ქუჩაში. აი ის ფანჯრები, რომლიდგანაც ოთხი ხუთი თავი, რომელი რომელს დაასწრობდა, გამოიყოფებოდა ხოლმე იმის დასანახავად, აი ის კარები, რომლის ზღრუბლიდგან უკრავდნენ იმას თავს და იზუკებოდნენ როდესაც შესცქირამდა მათ, ულირსთ. ო, როგორ მიყვარდნენ მაშინ ისინი, როდესაც იმას ჰატივს აძლევდნენ! ტირანი რომ ყოფილიყო მაშინ ჰქონდათ უფლება იმის დაცემის დროს უკუდგომილიყვნენ, მაგრამ ისე უყვარდათ იმათ ის! იმ კელებთ, რომელნიც ისე მარდათ ხდიდნენ ხოლმე იმისათჳს თავებიდგან შლიაპებს, ვერ მალუმთ კმლის ამოღება იმის გულისათჳს! მაგრამ ჩუენა ბრაკენბურღო? უფლება გვაქვს იმათი დაყვედრებისა? აი ის კელები, რომელნიც ისე ხშირად ეხვეოდნენ ხოლმე იმას; რასა შვრებიან იმის გულისათჳს? მცბიერობით შეიძლება ბევრი რამის გაკეთება ამ სოფელში! შენ კარგად იცი ყველა შესავალი და გასავალი გზები ძველი ციხე დარბაზისა. შეუძლებელი არა არისრა. დამარიგე!

## ბრაკენბურღი.

როცა შინ მივალთ.

### კ ლ ა რ ა .

კარგი.

### ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ ღ ი .

აგერ იქ კუთხეში ვხედამ ალბის სალდათებს, მამეც ნება გულის ხმას მოგიყვანო, დაგარწმუნო: განა შენ მშიშარათ მაგდებ? ნუ თუ არ მერწმუნვი, რომ შენის გულისათჳს სიხარულით შევწირამ სიცოცხლეს? ჩჳჱნ აქ ორთავენი, როგორათაც ჭკუაზედ შეშლილები ისე ვდგევართ—განა ვერ ხედამ შეუძლებლობას? მოდი ფიქრზედ: გონებაზე ნუ შეიშალე.

### კ ლ ა რ ა .

მე შევიშალე! საზარელოა! შენ შენს გონებაზედ არა ხარ, ბრაკენბურღო! როდესაც თქჳჱნ აძლევდით პატივს, როგორათაც გმირს, უწოდებდით თქჳჱნს მეგობრად, საფუძვლათ, მხოლოობით იმედათ, უყვიროდით ურას მაშინ მე მივიკუნტებოდი ხოლმე კუთხეში, ცოტათი ვაღებდი ფანჯარას და მალვით ვიცქირებოდი, მაგრამ კი გული მიცემდა უმეტესად, ვიდრე თქჳჱნ და ეხლაც უმეტესად მიცემს ვიდრე თქჳჱნ! ეხლა, როდესაც ჩავარდა უბედურებაში, თქჳჱნ უკუდგებით, იმალებით, არა გსურთ იფიქროთ, რომ უიმისოთ ყველანი დაიღუპებით.

ბრაკენბურღი.

წავიდეთ შინ!

კლარა.

შინ?

ბრაკენბურღი.

მოდი ფიქრხედ! შეხედე გარეშემოს! ქუჩაში ვდგევართ, რომელზედაც გავლასა ჰბედავდი ხოლმე მხოლოდ კჳრა დღეს საყდარში წასასვლელად და ყოველთჳს შიშის კანკალი გიტანდა ხოლმე, როდესაც მე შეგხვდებოდი ხოლმე აქ და გაბედამდი თავის დაკვრას, ეხლა კი მრავლის უცხოების წინ სახალხოდ უმახი და აგროვებ ხალხს. მოდი გონზედ, ჩემო კლარავ! რა გამოვა მაგითი?

კლარა.

შინ? ჰო, ეხლა მოველ გონებაზედ. წავიდეთ, ბრაკენბურღო, შინ! იცი შენ სად არის ჩემი სახლი?

## სცენა. II.

### საპყრობილე.

(განათდება ერთის ლამპით, სცენის სიშორეს სდგას საწოლი. (სკამია).

ეგმონტი. (მარტო)

ძველო მეგობარო! ყოველთჳს ჩემო ერთგულო მილო! ნუ თუ შენც კელი აიღე ჩემგან, როგორათაც სხჳა მეგობრებმა? როგორ ადვილად იყო ხოლმე ჩამოჭვრინდებოდი შენ ჩემთან და მზგავსად მშჳჱნივრის მურტის (МИТТОВИЙ) ყვავილების გვირგჳნისა—სიყჳარულის ნიშნისა, გამო მივხვდებოდი მე გონებას. აბჯრის ჩხრიალში, ცხოვრების ღელვათა შუა მე ტკბილად შევეხვეოდი ხოლმე შენს უბეში. როდესაც ქარიშხალი უბერავდა, არყევდა ტოტებს და ფოთლებ ხისასა,როდესაც იმისი ღერო ჭრაჭუნებდა და თავს ამხობდა მიწას,—გული იმისი რჩებოდა შეურყეველი. რა გაღელებს ეხლა შენ? რა ატანს შესათრთოლებელს ძალას შენ მაგარს, შეუცვლელს სულს? ოჰ! მე მესმის ხმა ცულისა, რომელიც მჭრის ძირში. მე კიდევ ვდგევარ სწორეთ, მაგრამ შიგნიდგან კანკალი მივლის ტანში. დიახ, სჯობნის დასაღუპი ძალა; ის აწვება მაღალს, მაგარს ღეროს და მზათ არის გადმოაგდოს და დასცეს რასვანით გაფურჩქვნილი

თავი მისი უდროოთ, მინამ გამხმარა იმისი ქერქი. რატომ ეხლა არ შეგიძლიან შენ, რომელიც ისე ხშირად საპნის ბურთებივით ერთისვე შებერვით განჰფანტავდი ხოლმე შენგნით ყველა შიშებს, განჰფანტო წინასწარ-გრძნობანი, რომელნიც ელავენ შენ წინ ხან აქ დ ხან იქ, ათას ნაირი სახეებით? რა დროდგან იწყო სიკუდილმა შეშინება შენი, სიკუდილმა, რომლისაც ცვალებადი სახენი, როგორათაც ყველა ოცნებანი ამა სოფლისა, რომლებთანაც ისე შეჩვეული იყავი, რომ შეგეძლო მათთან მოსვენებით ცხოვრება? განა ეს ისეთივე სიკუდილი არ არის, ეს ისეთივე მტერი არა, რომლისაც შეხვედრას გული თითონვე მთხოვდა? საპყრობილე, მსგავსად საფლავისა, ზარსა სცემს როგორათაც მშიშარათ, ეგრეთვე გმირთ. იყო ხოლმე დიდს მშუენიერს თავადების რჩევაში იმაზედ, რისიც გადაჭრა შეიძლება რაოდენიმე სიტყვით, მჯდარი ლბილს კრესლოზედ, ვგრძნობდი, როგორ ჭერი დ კედლები ზალისა მაწვებოდა გულზედ. ვეჩქარებოდი გამოვარდნას კარზედ, დ ამოვისუნთქამდი რა ღრმად, შემოვახტებოდი ცხენს დ გავჰფრინდებოდი იქით, სადაც ვგრძნობთ. რომ შინა ვართ: მინდორში, სადაც კეთილის მყოფელი დედა-ბუნება მიწიდგან ასულის ომხივრით გვიგზავნის თავის ბუნებითი მადლს დ ვარსკვლავთ სხივით თავის კურთხევას; სადაც ჩუენ, როგორათაც დედამიწის გმირნი, ვგრძნობთ რა ·დედის გულზედ მიკვრას ახალის ღონით ალვიტაცებით მცაშიდ; სადაც ჩუენ ყველა მარღვში ვგ-

რძნობთ კაცობრიობას და კაცობრიობის მოთხოვნილებას; სადაც ახალ-გაზდა მონადირეს გულში ეღვზნება წყურვილი წინ წასვლისა, წყურვილი გამარჯობისა, შემინებაებისა, თავის ღონის გამოჩენისა, მფლობელობის გავრცელებისა, დაპყრობისა; სადაც გმირი წინ გიცხადებს ბუნებით დაყოლილს თავის უფლებას მთელის ქჳეყნის დაჭერაზედ და შეუკავებელის თავნებაობით, როგორც ქარიშხალი მიჰქრის და აოხრებს მინდორს, ტყეს და ველს, არ მიმღები არა რა სამძღჳარისა, რომელიც დაუდვიათ კაცთ.

რაღა ხარ ეხლა? ოცნება, სწორეთ მარტოღა ნიშანი მოსაგონებლად წარსულისა, სიზმრის მოლანდება იმ ბედნიერებისა, რომელშიაც იყავ როდესღაც! სად სიმტყუნით შეგიყვანა ბედმა? განა ამისათჳს თავს გაცილებდა, შენ შეუშინებელს, სიკჳდილს მზის შუქზედ, რომ ამ დამპალს ალაგს წინათვე გამეგო გემო საფლავის ხრწნასი? რა სამაგლად მიბერავს ამ ქვებიდგან! სიცოცხლეს ჰყინავს ჩემში და ფეხი ჩემი დაბჯენილა ამ სკამის წინ ისე, როგორც კუბოს წინ. ოხ, კაეშანო! კაეშანო! უდროვოთ იწყე შენ ჩემი ხრწნა! ცოტა მოიცადე კიდევ! რად რადგან დარჩა ეგმონტი მარტოდ, სრულებით მარტო მთელს ქჳეყანაში? ეხლა არა ბედნიერების ნამეტნავი გაწუხებს შენ, არამედ იჭვი. შესაძლებელი იყო მოფიქრება იმისი, რომ მართლ-მსაჯულობა კოროლისა, რომელსაც შენ ერწმუნებოდი მთელს შენს სიცოცხლეში, რომ მეგობრობა მმართებელასი,

რომელიც შეგიძლიან შენწინვე გაუტედე შენს თავს, გადადიოდა სიყვარულში,—ერთს წამში განჰქრებოდნენ შენთჳს, როგორც შუშხუნის ცეცხლი? და ეხლა შენ დარჩი ბნელს შუა, მარტოთ მარტო! ორანელი შენისვე მეგობრებით არ გაბედავს რომელსამე შემბედავს შეცდას? არ ადგება ხალხი, არ ისურვებს ადუღებულის ღონით თავის ძველის მეგობრის გამოხსნას? ოხ! საპყრობილის კედლებო! ნუ დაუშლით კეთილ გენიოსთ, ხროვად მოქროლავთ ჩემს გამოსასხნელად. და დაე ის შებედვა, რომელსაც ისინი იწყავდნენ ჩემის თუალებიდგან, მომიბრუნდეს იმათგან გულში! ჰო, დიახ ათასობით ადგებიან! ისინი მოდიან! იარაღში ჩამსხდარან ჩემთჳს! ტფილი ლოცვანი იმათი ადიან მცაში, ისინი სთხოვენ სასწაულს ჩემს გამოსახსნელად,—და თუ ანგელოზი არ ჩამოჰფრინდება ციდგან ჩემს გამოსახსნელად, მაშინ მიჰყოფენ ხელს იარაღს! შეიძვრიან კარებები, დაიმტვრევიან ურდულები, დაინგრევიან კედლები იმათის ღონიერის ხელებით და ეგმონტი სიხარულით შეხედავს თავისუფლებას თვალებში, რომელსაც მოუტანს აღმომავალი მზე. მრთელს ნაცნობთ პირთა ნახამ შენ! ოხ! კლარავ, თუ რომ ვაჟკაცი ყოფილიყავ ყველაზედ წინ გნახამდი შენ და მადლობას მოგცემდი იმისათჳს, როსათჳსაც ისე მძიმეა კოროლებისათჳს მიცემა—ჩემის თავისუფლებისათჳს.

## ს ც ე ნ ა III.

### სადგომი კლარასი.

კ ლ ა რ ა. (გამოდის მეორე ოთახიდგან ლამპით და სტაქნით ჴელში, სდგამს სტაქანს სტოლზედ და ლამპით ფანჯარასთან მიდის).

კ ლ ა რ ა.

ბრაკენბურღო! შენა ხარ! რა ხმა მამესმა? არა ვინ არის? ჰო, არც ერთი სულდგმული! ლამპას დავდებ ფანჯარაზედ, დაე დაინახოს რომ ჯერ არა მძინავს, რომ იმას ველი! იმას რიღასიც ამბის შეტყობინება სურ-და!.....ამბის! საშინელი ამბავია!—ეგმონტი უნდა დაი-საჯოს! რომელღანმა სასამართლომ გაბედა იმისი და-სჯის გადაჭრა? იმათ განუბჭვიათ ის! კოროლს განუ-ბჭვია? თუ გერცოღს! მმართებელა წასულა! ორანელი და ამის მეგობრები იცდიან! აი ის სოფელი, რომლის სიმუხთლეზედ, ცვლილებაზედ ბევრჯელ გამიგონია, თუ-მც ამის გაგება არ შემძლებია მაშინ! ვინ მივიდა იქა-მდინ სიბოროტეში, რომ შეიძლო საყოველთავო საყვა-რლის ამოთვალწუნება? რომელმა ბოროტებამ შეიძლო აგრე მალე დაღუპვა კაცისა, რომელიც ძვირ-ფასი იყო ყველასათჳს? მაგრამ ეს მოხდა—დიახ, მოხდა! ოხ!

ეგმონტო, მე მგონია რომ შენ შეიძლები დარწმუნებით შენს უშიშროებაში ყოფნას როგორათაც ღმთის, ეგრეთვე კაცების წინ ისე, როგორც ჩემს ხვევნაში! რა ვიყავ მე შენთვის? შენ მე მეძახდი შენათ, მთელი ჩემი სიცოცხლე იყო განწირული შენის სიცოცხლისათვის.—და ეხლა რაღა ვარ? ტყუილად ვიშვერ კელებს შენს დამბოჭავს ჯაჭვებისაკენ! შენ დატყვევებული ხარ—მე კი თავის-უფალი! აი გასაღები ჩემის კარებისა; მე შემიძლიან თავისუფლათ შესვლა და გასვლა, მაგრამ არაფრით არ შემიძლიან შენი შველა!...არაფრით! ოხ, შემკარით, თორემ განწირულება გონებიდგან შემშლის! ჩამაგდეთ ღრმა საპყრობილეში, მე იქ თავს დავინტვრევ ნოტიო კედლებზედ ხლვით, ვიწყობ ღრიალს თავისუფლებაზედ, როტვას იმაზედ, როგორ გავანთავისუფლებდი იმას, რომ ჯაჭვებს არ ვყოლიილვიყავ ასე შებოჭვილი! მაგრამ მე თავისუფალი ვარ და ვგრძნობ ჩემის უღონოობისა ამრავლებს, ამ თავისუფლებაში, ჩემს ტანჯვას! მე ვგრძნობ, რომ არ შემიძლიან ფესის გადადგმა იმის სასარგებლოთ. მე შეურაცხი მცირე ნაწილი შენის მეოფობისა, მე, შენი კლარა, მეც ისეთი ტყვე ვარ, როგორიც შენ ეხლა. ჩემს უკანასკნელს ღონეს ვლევ ტყუილად სასიკვდილო კრუნჩხვაში.....მესმის შრიალი, ხველება.....ბრაკენბურღი....ის არის! კეთილო წამებულო! ბედი შენი დარჩება ისევ ისე, როგორც იყო: ის რომელიც გიყვარს შენ, აღებს შენს წინ კარებს......ახ! რა სატირელის ნახვისათვის! (შემოდის ბრაკენბურღი) აგრე

გაყვითლებული, დაღვრემილი რათა ხარ ბრაკენბურღო? მითხარ, რა ამბავია?

ბ რ ა კ ე ნ ბ რ ღ ი . (ჯდება).

ოხ, კლარავ! დამაცადე გული მოვიბრუნო ტირილით! მე არ მიყვარდა ის, მდიდარი იყო და ღარიბისაგან ცდილობდა უკანასკნელის ბატკნის წართმევას და გადაყვანას თავის, უმეტეს მსუქანს, სამწყსოში. მაგრამ არას დროს არ დამიწყევლია ის. ღმერთმა გამაჩინა მშჳდობიანი და მორჩილი. მთელი ჩემი სიცოცხლე გავათრიე ნაღველში; და ტანჯვაში რამტელიც დღე მიდიოდა იმტელი მეტს ვიტანჯვიდი და ვქრებოდი.

კ ლ ა რ ა .

დავიწყებას მიე ყველა, ბრაკენბურღო! შენი თავიც დაივიწყე! იმაზედ მითხარ რამე! მართალია? უნდა დაისაჯოს?

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ ღ ი .

ჵო, უნდა დაისაჯოს! მე სწორეთ შევიტყე.

კ ლ ა რ ა .

მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია!

ბრაკენბურღი.

ჰო, კიდევ ცოცხალია.

კლარა.

რით დამიმტკიცებ? ბოროტება ღუპავს გულ-მოწყალეთ ღამით! იმის სისხლი შეიძლება დაინთხეს ჩუმათ, უნახავათ. უგრძნო ხალხს ეხლა სძინავს და სიზმარში იბლანდებს იმის განთავისუფლებას თავის უღონოს სურვილი შესრულებას, როდესაც რომ, იქნება კიდეც, იმისი სული უნებლიედ ესალმება ამ ქჳეყანას. იმის სული ასულა კიდეც! ნუ მატყუებ! ნუ ატყუებ შენს თავს!

ბრაკენბურღი.

გამლევ სიტყვას, ჯერ კიდევ ცოცხალია! უვარგისნი ისპანელები უმზადებენ შევიწროებულს ხალხს საშინელს სახილველს: იმათა სურთ დალეწვა ამაყის გულისა, რომელშიაც კიდევ ჩუჩუნებს სიყვარული თავისუფლებისა.

კლარა.

განაგრძელე და დამშჳდებული გამოსთქჳ ჩემი სასიკჳდილო განბჭობა. მე ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ვახლოვდები იმ სანეტარო მხარეს, საიდგანაც მიბერავს შვების ქარი საუკუნოდ მოსვენებისა.

## ბრაკენბურღი.

სამხედრო კერკეტონების დაწყობილებაზედ. იმ ლაპარაკებზედ, რომელთაც აქა იქა ყურს მოჰკრამდი ხოლმე, მე ვხვდებოდი, რომ მეიდანზედ, რაღაც საშინელი სამზადისი ხდებოდა. მე გავმჴერ ჩემ ნაცნობ ვიწრო გზებით და მივედი ჩემის ნათესავის სახლში და იქ უკანა ფანჯარასთან დავჯექ, საიდგანაც სჩანს მეიდანი; უმრავლესს ისპანელების სოლდათებს შუა შუქს ჰფენავდნენ ფაკელები, რომელნიც აქა იქ გამოსჩანდნენ ხოლმე. წინა პირველად ვერა გავარჩიერა ცხადათ, მერე როდესაც თვალი შევაჩვიე სიბნელეს, გამომეცხადა შუაში აღმართული ეშაფოტი; იმის დანახვით კანკალმა გამიარა ტანში. ხროვა ხალხისა ბეჯითად აკრამდა შავს მაუდს თეთრს ეშაფოტის ფიცრებსა. და ბოლოს გააკრეს შავები კიბეების ფეხებს—მე ეს ცხადათ დავინახე. გეგონებოდა წირვის სამზადისი აქუთო. თეთრი ჯუარ-ცმა რომელიც ვერცხლებრივ ბჭყვრიალებდა ბნელს შუა, იყო აღმართული ერთს მხარეს ეშაფოტისა. მე ამას ვხედამდი და საშინელი ჭეშმარიტება მეცხადებოდა უმეტეს და უმეტეს დასაჯერებლად. ფაკელებმა, რომელნიც აქა იქა ბჟუტამდნენ, იწყეს განშორება და ბოლოს განჰქრნენ, და უცეფ ის გველ-ვეშაპი ნაშობი ღამისა, ახლათ ჩაიფლო დედეულს მუცელში.

კლარა.

კმარა, ბრაკენბურღო, კმარა! დაე ამ კრეტსაბელმა, ჩამოშვებულმა, დაისვენოს ჩემს სულზედ! ოცნებანი განჰქრნენ.......დასურე, კეთილის მომცემო ღამევ, შენი სასურავი დედამიწას, რომელიც ამ საშინელის სიმძიმის ატანას ვერ შეუძლებს, დააღებს პირს დ შთაულაპავს მომაკვდინებელს აღშენებულს. თჳთ ის ღმერთი, რომელიც უწმინდურებამა, ჰგმეს, გამოგზავნის იმათ შესარცხვენად ანგელოზს დ ის ერთის შეხებით აიღებს რა ყველა კლიტეებს დ ჯაჭვებს, კარეშემო არტყამს მშჳდობის სხივს დ მშჳდობიანათ, წყნარად გაატარებს უფსკრულს წყვდიადისასა დ მიიყვანს თავისუფლებასთან. ჩემი გზაც ისე მიდის დ მეც წავალ მისაგებებლად.

ბრაკენბურღი (იჭერს).

ჩემო კლარავ, ჩემო საყვარელო! საით? რას აპირობ?

კლარა.

ჩუმათ, მეგობარო, არავინ არ გამოაღვიძო! ვეცადნეთ ვეცადნეთ ჩვენივე თავებიც არ გამოვაღვიძოთ... სცნობ ამ მუშას, ბრაკენბურღო! როდესღაც წაგართვი მე აქ ჴელიდგან, როდესაც შენ აპირობდი თავის მოკჳლას, მაგრამ ეხლა, ჩემო მეგობარო!.. .

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ ღ ი.

გთხოვ ღუთის და ყველა წმინდანების გულისათჳს!

კ ლ ა რ ა.

ვერაფერს ვერ შევცვლი. ჩემი ხვედრი—სიკვდილია! და მე მივიღო იმისთანავე მსწრაფი სიკვდილი, რომელსაც იმზადებდი შენ. ჴელი მამე! იმ დროს, როდესაც ჴელს ვახებ გასაღებად იდუმალის კარებისა, რომლის იქითგან შემობრუნება აღარ შეიძლება, ამ უკანასკნელის ჴელის მოჭერით მე მსურს გითხრა, როგორ მიყვარდი შენ, როგორ ვწუხდი შენთჳს. ძმა მამიკვდა სიყმარწჳლეში, შენ გიძმე. ეს არ მოგეწონა შენ და გახდა მიზეზი ჩემის და შენის ტანჯვისა; შენ უდიდესის და უდიდესის მხურვალებით ითხოვდი იმ ნაწილს, რომელიც არ იყო შენთჳს დანიშნული. ბრალს ნუ დამდებ! მაპატივე! და მე დავიძახო ძმათ! ამ სახელში იპოვება ბევრი სხჳისაც. მიიღე უკანასკნელი ყვავილი განშორებისა, რომელსაც გამლევ სრულის გულით,—მიიღე ეს კოცნა..... სიკვდილი შეაერთებს ყველას, ბრაკენბურღო, მაშასადამე ჩჳენც...

ბ რ ა კ ე ნ ბ რ ღ ი.

მამეც ნება შენთანვე მოვკვდე! გამიყავ მე! გამიყავ! მაგ შუშაში სამყოფი, რომ განაქროს ორი სიცოცხლე.

## კლარა.

დარჩი......შენ უნდა იცოცხლო, შენ შეგიძლიან იცოცხლო......შეეწიე დედაჩემს, რომელიც უშენოდ შიმშილით მოკვდება. იყავ იმისათჳს იმათ, რათაც ყოფნას მე ვეღარ შევიძლებ. დასახლდით ერთად ⴃ მიგლოვეთ, იგლოვეთ მამული ⴃ ისა, რომელსაც მხოლოდ შეეძლო იმისი დაცვა. აწმყოს შთამომავალი ვეღარ დაესწრობა თავის წვალებაების ბოლოს, თჳთ სისასტიკე შურის გებისა ვერ ჩააჩუმებს მათ. თქჳენ გაატარებთ მოკლებაში თქჳენს დროს, რომელიც დროში ჩასათვლელი აღარ იქნება. ქჳეყნის ტრიალი ამიერიდგან დადგება; ყველა შეიქნება უძრავად; ჩემი მაჯა კიდევ დაჰკრამს რამტელსამე მინუტს მშჳდობით!

## ბრაკენბურღი.

ო! იცხოვრე ჩჳენთან, ისე როგორც ჩჳენ ვიცხოვრებთ მარტო მხოლოდ შენთჳს! შენში დავიხოცებით ჩჳენც: იცხოვრე, იტანჯე! ჩჳენ განუშორებლად ვიქნებით შენთან ერთად ⴃ სიყვარული, ყურად მღებელი შენი, გაგიღებს უკეთესს სიხარულს თავისის აღტაცებულის ხვევნით. დარჩი ჩჳენთან. იყავ ჩჳენი! ვერა ვბედამ თქმას—ჩემი.

კ ლ ა რ ა .

კმარა, ბრაკენბურღო, შენ არ იცი, რომელს სიმს ჩემის სულისას შენ შეახე ჴელი, სადაც შენთჳს არის ცოტა რისამე იმედი, იქ ჩემთჳს განწირულებაა.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ ღ ი .

განიყავ სასოება ცოცხლებისა! დადექ ჯურღმულის ნაპირს, გადახედე იმის ძირს ⷘ მერმე გადმოგვხედე ჩუჱნც!

კ ლ ა რ ა .

მე ყველა დავძლიე, ჴელ-ახლად ნუ მიძახი ახალის ბრძოლისათჳს.

ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ ღ ი .

თვალები აგხვევია; შენ იწევ სიღრმავისაკენ წყვდიადისა, როდესაც ჯერ კიდევ ნაპერწკლები ნათელისა არ გამქრალან, კიდევ რომელიმე დღე წინ არის!

კ ლ ა რ ა .

ვაჲმე! ვაჲ შენგნით! ვაჲ! სასტიკად მოგლიჯე ჩემის

თვალებისაგან ასახვევი. დიახ, გათენდება. დღე ტყუილად ისურვებს ნისლს ქუჩში დამალვას, წინააღმდეგ იმის სურვილისა განთიადი დადგება! შიშით გამოიყურებიან თავიანთის ფანჯრებიდგან მოქალაქენი—ღამეს გაუშვია შავი ჩირქი; ისინი გამოიყურებიან—იმათ წინ ნათელში აღიმართება საშინელი სადგომი სიკვდილისა. ნაგმობი იმათგან სახე ქრისტესი კელ-ახლად აღუპყრობს შემავედრებელს თვალებს მამას. მზე ვერ გაბედავს გამოსვლას. ის არ ისურვებს ნიშნის დადებას იმ საათზედ, რომელშიაც ის უნდა მოკვდეს. ზარმაცად მიდიან თავიანთს გზას საათის ისრები ♁ ხანგრძლივად სცემს საათი, მოიცა! მოიცა! ტყუილიღაა! დაჰკრა საათმა! მოახლოვება დილისა მისტუმრებს საფლავისაკენ. (მიდის ფანჯარასთან ♁ მალვით სვამს საწამლავს შუშიდგან).

## ბრაკენბურღი.

კლარავ! კლარავ!........

კლარა (მიდის სტოლთან ♁ სვამს წყალს).

აქ კიდევ დარჩა! მე თან არ გიწვევ: მოიქეც, როგორც იცოდე. მშვიდობით! გააქრე ლამპა. მე წავალ მოსასვენებლად: გადი ჩუმათ ♁ გაიკეტე კარები. ჩუ! არ გამოაღვიძო დედა! წადი, თავს უშველე, რომ ჩემ მკვლელად არ ჩაგაგდონ (გადის).

## ბ რ ა კ ე ნ ბ უ რ ღ ი .

უკანასკნელს საათსაც ისე მიშვებს, როგორც კულავ.ო! თუ რომ კაცის სულს შეეძლოს გრძნობა, როგორც საყვარლის გული იტანჯება! გამიშვა მე; მაგრამ სიცოცხლეც და სიკვდილიც ორთავ თვალის დასანახავად საჯავრელია ჩემთჳს. მარტოკა სიკვდილი! იტირეთ, თქჳჱნ, არშიყებო. ჩემზედ უარესი მხვედრი არავის შეხვდება! ემზადებოდა გაეყო ჩემთჳს რამტელიმე ცვარი სიკვდილისა და მერე უცებ უკუმაგდო!......კელი მკრა და განმაგდო თავისკნით! თავ და პირველ მიმახდა თავისთან წასვლას და მერე კი ისევ ცხოვრებაში შემაგდო! ო, ეგმონტო, რა მშჳჱნიერი ხვედრი შეგხვდა! ის წინ გიძღვის შენ. დიდების გვირგვინს მიიღებ შენ იმის კელიდგან! ის მთელს მცას წამოგიძღვნის შენს მოსავებელად. შემიძლიან მე იმისი გამოდგომა? და ყოფნა იქაც შორი-ახლო იმისა!. გადატანა თან, იმ სხჳა სოფელშიაც შეუბრალებელის შურისა! მიწაზედ დარჩომა აღარ შემიძლიან ჯოჯოხეთიც და სამოთხეც შემამძლევენ თანასწორს წვალებაებს. როგორ უხდება უბედურს აღმოფხვრა საშინელის კელით! (ბრაკენბურღი გადის. სცენა რჩება რაოდენსამე ხანს ცარიელი. მუზიკა გამოსთქჳამს კლარას სიკჳდილს; ლამპა, რომლისაც გაქრობა დაავიწყდება ბრაკენბურღს, რამტელჯერმე ამოიბჯუტებს და მერე თავის თავად ჩაქრება. ამ დროს დეკორაცია გამოიცვლება). დასასრული შემდგომ ნომერში იქნება.

---

## რედაქციისაგან განცხადება.

თ. ვანო ბარათა-შჳლი დაგვპირდა ქვემო ხსენებულს სტატიებს: «ჭკუის გლახები» (პოემა) 2, «სხვა-რიგი სიყვარული» (ვოდევილი) 3, «მოთმინებიდამ გამოსული ყმაწვილი კაცი ანუ სიმართლე თავისას გაიტანდა» (კომედია ოთხს მოქმედებად) 4, «საიდუმლო წიგნი» (ლექსად) 5, ჟურნალი «მნათობი» 1869 წელსა (კრიტიკული სტატია.)

---

**1870 წელსა.**

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 7. მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, ხიდზედ, მირზოევის შენობაში მარტიროზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე ცნობოს ამ ადრესით.

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს ტფილი.

---

Дозволено Цензурою 15 Марта 1870 г.